

240

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ

# ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ՊՐԵՍՏԻՆԻ



მ ი ნ ა ა რ ს ი

ჯეჯილისა „ჯეჯილისა“

I სურათი ლექსით . . . . .	2
II საახალწლო ლექსი შიშ მღვიმელისა	3
III რა კარგი იყო! რასისი . . . . .	6
IV ორი პეველი თამრო თარ — ა	11
V სილამი ლექსი ადრე გიგაშვილისა	14
VI ოჯახის ნებეირი ამბები ეგ. გიგაშვილისა	16
VII ენძელა გ. ქუჩიშვილისა	23
VIII რებუსი და სურათი . . . . .	25
<hr/>	
IX ახალ წელიწადს დ. თურდოსბერძელისა	26
X ბიძიას ნაამბობი (შემდეგი) ად. ნათიძისა	27
XI იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი ეგ. გიგაშვილისა	34
XII კავკასიის ტყვე (დასასრული) ადვ. ტოდსტოვისა თარ გმანი რ. ჯეჯილისა	37
XIII შესანიშნავი ქვეყანა: ხე რკინის ნაწვეთი — სკიპიდარი. (შემდეგი)	47
XIV შარშანდელს ბუზი ზღაპარი შარკ. ნორდაუსი (თარგ- მანი) ა. ფ. — ისა	51
XV კუ შედგენილი ად. ჭიჭინაძისა	58

**მიიღება ხელის მოწერა 1911 წ.**

ამ 1911 წ. ხელის მომწერლებს დაურეგდებათ სა-  
ხუქრათ ორი წიგნი.

- 1) ღვთის წყალობა დასურათებული მოთხრობა გიორგი  
წერეთლისა.
- 2) საყმაწვილო ამბების კრებული სურათებით.

ჯეჯილის ხელის მომწერლებს საახალწლოთ დაურეგ-  
დებათ სახუქრად

**უცხო თაიგული**

დასურათებული საყმაწვილო წიგნი შედგენილი პეტრე მი-  
რიანაშვილის მიერ.

№-90



# საქმაცუვილო ნახატებიანი შურნალი

იზარდე მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო!..  
ი. დ.

იანვარი, 1911

~~1911~~  
F4509

~~1325~~

◆ წელიწადი მეოცდობორე ◆

Handwritten numbers and stamps:  
915  
447  
917  
1120  
944

თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, გუბრანის ქ. № 12.

1911



ძოვიდვარ მოსალოცათ,  
თქვენთვის საჩუქრები მწადს!  
სიკეთით შეესწარით  
მრავალ ახალწელიწადს!



## სახალწლო.



ობრძანდით, მოძილოცევით  
მასწინძელი ვარ გუღითა;  
ძარტალი არის ვერ გასძევთ  
ღვინოს თანით და გუღითა,  
ძაგრაძ დაგხვდებით იცოდეთ  
ხელ-გაძლით — ვეღლით, ჰურითა.

\*  
\* \*

იქნება სადმე ვიძოვო  
ერთი ხელადა ღვინოცა,  
იკურთხოს იმის სასული  
ვინც ღარბთათვის ილოცა.  
შავბღეროთ შემოძახილით,  
ბანს მოგვცემს ჩემი ილოცა.

\*  
\* \*

რა ვქნა, რომ არ მაქვს შემწვარი  
გოჭი და ინდოურები,  
ამისთვის უნდა დავლონდე  
და ჩამოვუარო უურები?  
ჯანით და ღონით სავსე ვარ,  
მე ბედს ვერ დავეძღურები.

\*  
\* \*

კაცი არ უნდა დაღონდეს  
ერთის წამსდარის ჟამითა;  
რას ვკარგავ, შარბათს რო არ ვსვამ  
მიწის წერიალა ჟამითა;  
მხიარული მუავს ცოლ-შვილი,  
ბედნიერი ვარ ამითა.

\*  
\* \*

რითი მჯობს ჯიბით მდიდარი,  
გულით არ სადი, სწეული,  
უჯიგრო, უზურ-მარდილო,  
უთვისტომო და ეული,

ღარბებისთვის სელ-მოკლე  
და ბაიუშად ქცეული...

\* \* \*  
 მობხანდით, მოძილოცევით,  
 თქვენი სულისა — გულისა;  
 მეც მოგილოცავთ, არ მინდა  
 არც მანდ რაკრაკი კულისა,  
 «ღარბის ლუკმა ვეელას სჯობს»  
 სიტყვის ჭირიძე ბრძნულისა.

უ. მღვიმელი.



# რან კარგი იყო!



ოსარეცხე დედაკაცს მართას წრეულს მეტათ სასტიკი სამთარი დაუდგა. გაუნულ მტკვარზე სარეცხი ვერ ჩაქონდა განსაულებლათ, არც ბინა ქონდა, რომ სარეცხი გაემშრო და თავის ბნელ, ცივ ოთახში ცეცხლზე აშრობდა; სამაგელი სუნის ომხივარი ადიოდა ძაღლსა და ავეითლებდა სარეცხსაც და მის ორ ჰაწია შვილსაც. უფროსი გოგონა ქეთო იქნებოდა შვიდი წლისა და ჰატარა ბიჭუნა გიგლა ოთხი წლისა. მართას ქმარი კარგა ხანია საღლაც გადახვეწილი იყო და დედაკაცი თავის ჯანმრთელობით არჩენდა თავის თავსაც და შვილებსაც.

წრევანდელმა ეინვებმა მართას გაუჭირეს საქმე, მუშტრები ჩავეითლებულ სარეცხს უწუნებდენ და ბევრნიც ჩამომორდენ.

საბრალო მართა ამ დღესასწაულებში სულ უნუკემოთ იყო, მართალია ჰური და ნავთი კვლავაც არ მოაკლდებოდა, ნინიათ იმოვიდა, რადგან ვალების წესიერი განტუმრებით ნდობა დაიმსახურა, მაგრამ ეძაწვილების განხარება წითელი კაბით და წითელ ხალათით ამ



დღესასწაულებში ძალიან უნდოდა. მეტადრე ახლა, როცა ქეთომ ვინულზე ფეხი იტკინა, სარეცხი რომ მიჭქონდა მუშტართან.

\* \*

ერთხელ შობის წინა დღეებში, დილით, მართა რაღაცას ფუსფუსებდა ოთახში, ქეთო ძონძებში განხეული მიწოლილი იყო ცეცხლთან. გიგლა ეზოში მესოხელ ემაწვილებთან თამაშობდა. უცბათ მართას შემოესმა ხალხის ფეხის ხმა. მესობელ ქალს მოჭყავდა ვიღაცეები.

— აი, აქ შემობრძანდით, ამბობდა ისა და მოუძღოდა ორ ქალს. ერთი იყო სათვალეებიანი ქალი, რომელიც ძლივ-ძლივობით იგნებდა გზას, მეორე— თურნაშული ვაძლივით წითელ ლოყებიანი, სულ ემაწვილი ქალი, რომელსაც ქუდი კეფაზე ჭქონდა გადადებული. ერთი მოსწავლე ემაწვილი თან ახლდათ.

მართა გაკვირვებული უცქერდა ამ დაუხატებელ სტუმრებს.

— ბეჩავ, აქ რა ბნელა, თქვა სათვალეებიანმა ქალმა.

მეორე ემაწვილი ქალი მაშინვე მივარდა ქეთოს და დაუწყო გამოკითხვა, რით არი ავად.

ბოლოს გამოირკვა, რომ ეს ქალები არიან გამოგზავნილნი მასწავლებელი ქალების სასოკადოებისაგან, რომელნიც ყოველ წლივ მართავენ ღარიბ ბავშვთათვის შობის ხეს და ტკბილეულობის გარდა ტანთსაცმელსაც ურიკებენ.

ოჯახში დატრიალდა საერთო სიხარული.

მოსული ქალებიც კმაყოფილნი წავიდნენ, რომ ახლა სხვა ოჯახში, შეეცანათ სიხარული და შვიბა!

\*  
\* \*

ორშაბათს, 4 იანვარს, მეტათ სიცვიე იყო: თოვ-  
და და ქარი ქროდა, მაგრამ უოველ ღარბი მოსახლე  
უბნებიდან დილა ადრინათ ბავშვები მიდიოდნენ ცირ-



კის შენობაში. ჩვე-  
ნი ქეთო და გიგ-  
ლაც თავიანთი სა-  
უკეთესო ტანისა-  
მოსით გაეშურნენ  
სხვა მესობელემა-  
წვილებთან ერ-  
თად. ქეთოს მუჭი-  
დან მოჩანდა ორი  
წითელი ბილეთი,  
რომლის საშუა-  
ლებით მიიღებდნენ  
ესენი საჩუქრებს.  
ერთი ჰატარა ბიჭი

წითელ ბილეთს სულ მალლა აფრიალებ-  
და. ამ დროს ატედა ჩოჩქოლი და მოისმა  
იმ ჰატარა ბიჭის მწარე ტირილი.

— ლისამ წაართვა წითელი ბილეთი, ლისამ! არ  
მიუშვათ, უვიროდენ.

მაგრამ ლიხას სსენება აღარ იყო, მოჭკურცხლა, სადღაც გაჭქრა.


გიგლამ, რომ დაინახა ცირკის კარებში ორი „შტიკიანი“ სალდათი, — შიში იგრძნო, უკან დაიწია, ტირილი მოართო. მას უთხრეს, რომ ისინი იმიტომ დგანან, რომ ლიხა არ შეუშვან ცირკში, — მაშინ გიგლა ცოტათი დაცხრა. ამ დროს შესასვლელ კარებთან გამოჩნდნენ მასწავლებელი ქალები და ბავშვები ციმციმით აიუვანეს და შიგ ცირკში შეიუვანეს.


მუსიკას გრიალი გაჭქონდა, შუა ადგილას იდგა მორთული დიდი შობის ხე. აუარებელი ბავშვები ჩამწკრივებული ისხდნენ. ქეთო მიათრეგდა გიგლას. ბოლოს ესენიც და ამათი შესობლებიც დალაგდნენ. უცბათ გაატარეს ამათ წინ ოთხი-სუთი დიდი კალათები, ისეთი როგორც მართას ჭქონდა სარეცხისთვის. ეს კალათები სულ დაბრაწული თეთრი ჰურებით იყო სავსე. მაშინ კი გიგლამ თვალები დააჭეიტა... ქალებმა სწრაფად ეკვლას ჰურები დაურთეს. ამას მოჭევა სურათების, ფოკუსების ჩვენება. მერე გააჩაღეს შობის ხე სსვა და სსვა ფერადი სინათლით. ემაწვილები აღტაცებაში მოვიდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, უსტვენდნენ, ტაშს უკრავდნენ და მათ სინარულს სამხდვარი არა ჭქონდა. ამ დროს მოჭევენ ტკბილეულობის და სათბუნებლების დარიგებას, ქეთოს და გიგლას როგორც სსვებს მისცეს ხელთსახოცში გახვეული ვაშლი, კონფეტები და სხელი სილი. ქეთოს ერგო ბამაზინის საკაბე და გიგლას ვაბაღასი.

თითქმის დაღამებული იყო, როცა ეძაწვილები წა-  
ვიდ-წამოვიდენ თავთაჳიანთ ბინაზე. გიცლას გუღზე  
ძიეკრე უბაღანსი და დიძილით ჰკებენდა ვაძლს. ქეთო  
კი ისეთი აღტაცებული იყო, რომ ვერ ახერხებდა დე-  
დისთვის ეამბნა, რაცა ნახა; ხოლო გაიძახოდა:

— რა კარგი იყო! რა კარგი იყო!

ტახო.





## ორი ჰეპელა.

მძევნიერი მასის დილა იყო. უოველი ცხოველი და მცენარე ღიმილით ეკებებოდა ბრწეინვალე მხეს.

წუვილი თეთრი ჰეპელაც თავიანთ პარკებიდან გამოძვრენ თუ არა, მხეს შეჭხარეს და ვვავილებისაკენ გაეშურნენ. გზაში ხან ერთმანეთს დაეჭიდებოდენ, ეალერსებოდენ, ხან ერთი მეორეს გაუსწრობდა, კაძარას შეჭკრაავდა, ხან ერთათ მიფრინავდენ.

ჯერ ნავარდობით და უვავილის წუწნით არ გამძღარეივენ ჩვენი ჰეპელები, რომ ერთი უცნაური ქარ-ბუქი ამოვარდა, ჰეპელები აქეთ იქით გაჭფანტა და ერთმანეთს მოაშორა.



ქარი რომ ჩადგა, ერთი თეთრი ჰეპელა-ღა გა-  
მოჩნდა უვაჟილების ბუჩქიდან, მეორე აღარსად სჩან-  
და და ამ თეთრმა ჰეპელამ მეორეს ძებნა დაუწყო.

ბევრი ძებნის შემდეგ, ერთ ძეძვის ბუჩქთან თა-  
ვისი ამხანაგი ჰეპელა ძიწასზე მბობლავი დანახა.

— რას ბობლავ, რას ცოცავ, რისი გემინიან,  
ქარი ხომ ჩადგა, წამოდი ისევ ერთათ ვიფრინოთ!  
— უთხრა პირველმა ჰეპელამ.

— როგორ თუ რას ვცოცავ?! — უპასუხა მეორე  
ჰეპელამ. — ვერა ხედავ იმ სანარეულმა ქარმა ძეძვის  
ეკალს მიძახეთქა და ფრთა ჩამომანია?

— ძამ რაღა ვქნა? როგორ გიძველო! — მწუნა-  
რებით უთხრა ჰეპელამ.

— წადი სხვა ამხანაგი იპოვე, მე კი აქ, ჩემ დამ-  
ღუპველ ძეძვის ძირში, დავლევ სულის.

— არა, მე შენ თავს არ დამანებებ! — უთხრა ჰე-  
პელამ და გვერდით მოუჯდა ამხანაგსა.

იქვე ერთი პრტყელ-ფოთოლას სამეურს ბაღასი  
იყო და ამ ჰეპელების უბედურება რომ გაიგო, გუ-  
ლი აუჩუჟდა და უთხრა:

— ჩემო დაიებო, ნუ სწუნართ! ჩემი ფოთოლი  
თქვენ ფრთებსავით ნახი და თხელია, მოძწევიტეთ  
ერთი და ფრთათ გაიკეთეთ.

ეს თეთრი ჰეპელა განარებული მიფრინდა სამეუ-  
რს ბაღასთან და მოწიწებით უთხრა:


— კეთილო დიაავ, ფოთოლი რომ მოგწევიტო,  
რომ გეტკინება?


— არა, ჩემო ძალსაზო: რამდენი ტუილ უბრა-  
ლოდ მგლეჯს და ფენით მთელავს. განა არა სჯო-  
ბია, რომ ნამდვილათ ვისმეს გამოვადგე?

ჰეპელამ ფრთხილათ მოაცვალა ერთი ფოთოლი  
სამეურნას და გულის ფანცქალით შეუდგა ამხანაგის  
ფრთის დაწებობას. წებოთ ევაზილის ტკბილი წვენი  
ინძარა და ამხანაგს ფრთა გაუძთელა. ფრთა მწვანე  
ხალიანი გამოვიდა.


როდესაც ფრთა გამრელებულმა ჰეპელამ წამოიწია  
და ამხანაგთან ერთათ გაფრინდა, სამეურნამ თითქოს  
შურით თვალი გაადგენა, რადგან მას ადგილიდან  
დაძვრა არ შეეძლო; თანაც კი გულში უხაროდა, რომ  
ძისი მწვანე ფოთოლი ფრთათ გამოადგა ჰეპელას და  
ამითი ძისცა მას შეეება ენაზარდნა ცაში კვლავინდუ-  
ბურათ.

თამრო თარ—ა.





# ს ა ლ ა მ ი



ოკილოცავთ ახალ-წელს,  
მეგობრულად გიწვდით ხელს,  
შორეულ ადგილიდან,

ენუღიან, დიუ მხრიდან,  
უმაწვილებო კარგებო,  
სამშობლოსთვის მარგებო!

მტრედივით იღუღუნეთ,  
გვრიტებივით ისტუნეთ,  
თავისუფლად იარეთ,  
მშობლები ვახსარეთ!


დღისით დარი ხართ მხისა,  
ღამით—გუშავ მთვარისა;  
მთით მოწაკრავკე წყარო,



ანკარა, სანეტარო; —  
 აუგუდით, აბიბინდით,  
 ფრთა შეისსით, აჭფრინდით,  
 გახდით ძალე დიდები,  
 დაუაჟგაფებულები, —  
 რომ ტანჯული, მწუსარე,  
 ჩვენი საშობლო მხარე,  
 და მისი არე-მარე  
 შავ-მოსილ, მგლოვიარე, —  
 გახსნალისოთ შვებით,  
 სრულ ჭყოთ ბედნიერებით!

ლალო გეგეჭკორი.

პეტერბურგი



# ოჯახის ნებიერი.



(საშობაო ამბავი).

ომ იცოდეთ რა მშვენიერია ჩვენი  
ციცუნია-კატუნია! თქვენც ისე  
შეიყვარებდით, როგორც მთელ  
ჩვენს ოჯახს უყვარს!

დიდი, ზორბა, გასუქებული, სუფთა, ფაქისი, თავით ფეხამდე ნაცრის ფერი, ვერცხლის ფრად მბზინავი ბანლით, უძტვერო, თეთრის ოთხის თათით და შუბლზედაც ჰატარა თეთრი სიკორათი—ის შეუდარებელი რამ არის.

ყოველი იმისი მოძრაობა, მიხვრა-მოხვრა, გახმორება, ჰირის ბანა, თამაშობა კეკლუცობით არის სავსე. მეტადრე მაძინ არის კარგი ჩვენი კატუნია, როდესაც ქეიფზეა და უნდა ეველას გამოეხუმროს, გამოეთამაშოს, კლანჭი გამოჭკრას, სათამაშოთ აიეოლიოს. ის ნელა ნელა მიეზარება ჩემს ჰატარა გოგონა მაიკოს და მუსხლებზედ დალაგებულ ჰაწია სელზე კლანჭს გაუსვამს, ისე რბილად, ფაქისად, რომ არა ატკინოს რა, არ დააკაწროს, მხოლოდ იმიტომ, რომ სათამა-

შოთ გამოიხმოს. მაიკოსაც ეს უნდა. ის სწრაფად წამოხტება, დახვევს დიდ-დიდ გახეთის ფურცელს, მოაბამს ბაბბის ძაფს და კაიძარტება ერთი ალიაქოთი, სირბილი, უიჟინი, სიცვილ-ხარხარი! წაქეზებული ციცუნია თანდათან ეშში შედის, ძალაუებს გადადის, ქაღალდის გორგალს ძაღლა ისვრის, იჭერს, ფსრეწს თავისი მძვენეირი თათებით; ძერე შორს, შორს გახტება, მოიბუზება და ვითომ აქ არაფერი ამბავიაო, დარბაისლად დაბძანდება. ის კი არა თუ მოულოდნელად უცებ გამოვარდება და გულს გაუხეთქს ხოლმე დამშვიდებულ მაიკოს, რომელსაც ძაფ გამობმული ქაღალდი ისევ ხელში უჭირავს და კი არ იცის რა უეოს.

— აი დაგწევვლოს ღმერთმა! შეჭვეირებს მაიკო და კვლავ სიამოვნებით აჭეკება საფუარელ ციცუნიას.

მაგრამ განა ციცუნიას თამაძობა, იმისი ალერსი ძარტო მაიკოს უევარს? ის მთელი ოჯახის ნებიერი. ჰატარა სამი წლის ალექსი თვალს არ მოხუჭავს საღამოებით, როდესაც დასაძინებლათ დააწვენენ, თუ ციცუნია საბნის ბოლოზე არ კუნტია და თავისის დაუსრულებელის კრუტუნით ზღაპარს არ უკრუტუნებს.

ნინუცა ხომ ფორტოზიანზე დასაკრავს არ ჩაუჯდება, თუ ციცუნია მის თავზედ არ ჰკუნტია და იმის ხელების თამაძს თავისი მოკრუტულ, მიბნედილ თვალებს არ ადევნებს. ბევრჯელ ასე ოთხფეხზედ დაკუნტული კატუნია მთელი საათობით ზის და მანამ ნი-



ნუსა გაკვეთილს არ გაიხეპირებს და ფორტოპიანოს  
არ დახურავს ფეხს არ მოიცვლის. სოკჯერ კი უცებ  
გიჟივით წამოხტება და აფთარივით დაეცემა ნინუსა  
ათამაშებულ ხელებს და გულს გაუხეთქავს! მოაცდენს  
და უდროო-უდროთ სათამაშოთ გამოიწვევს.

ერთი სიტყვით ჩვენს კატუნია საძინელი ეშპაკია,  
თავისი ნათქვამია, მაგრამ ეველას ძლიერ, ძლიერ გვი-  
უვარს.

მე, როგორც სახლის უფროსს, მომატებულ ჰატიუ-  
სა მცემს. როგორც შემატეობს რომ კარში ვაპარებ  
გასვლას, ის მაშინვე ჩემ გვერდით იწეებს ტორტმანს,  
ტანისამოსზე გლასუნს; და კარებს გავაღებ თუ არა,  
ის ჰირველი განტება, გაიქცევა ჩემ წინ, მერე ისევ  
გამობრუნდება, ფეხებში გამებლანდება და კვლავ გაი-  
ქცევა, გასავალ კარებამდე მიმაცილებს. სახლში  
მოხვლისასაც გასავალ კარებში დაძინდება, კიბეზე  
წამისწრებს, მერე ისევ დაბრუნდება და ასე რამდენ-  
ჯერმე ამ გვარის სინარულით სახლში შემაცილებს.

და აი, ამ ჩვენს საუვარულ ციცუნია-კატუნიას, მო-  
ბის წინა დღეს, რა უბედურება ეწვია და მთელი  
ოჯახი აგვატირ-აგვაშფოთა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი კატუნია ხარბი  
მჭამელი არ არის. დილით ნახევარ სტაქან რძეს და-  
უსხამთ ლამბაქსედ, სადილზე ორიოდ ლუკმა ჩაურილ  
წვენს და ჰატარა ხორცის ნაჭრებს მივცემთ. ეს არის  
და ესა, მთელი იმისი სახრდო. მთელ დღეს აღარა-  
ფერს მოითხოვს.

ციცუნია გადაირევა სოლმე მხოლოდ მაშინ, თუ თევზის სუნს მოჰკრავს ცხვირსა. თევზი ძველი, თუ ახალი, სიხილალა, ზურგიელი გაგიეებით უეგარს და, თუ მაშინვე არ ვაგემეთ, ვედარაფრით ველარ შევაკავებთ. ცხრა კლიტულს, ცხრა ჟარაულს გვერდს აუსვევს და თევზს უთუოთ მოიპარავს.

ძობის წინა დღეს, წირვიდან რომ მოვედი, ციცუნია ჩვეულებრივ შემოსავალ კარებში არ დამისვდა და ამან ძრიელ განაკვირვა. გაველ თუ არა ბაღკონზე, აქა იქ რაღაც ნაირი აღისფერი სისხლის წინაწკლები შევნიშნე. შემეშინდა, სისხლის კვალს მივვემივუე და ჩემ ლოგინზე კი მიმიუვანა. იქ გულაღმა გადასვენებული აწვა ჩვენი ნებიერი კატუნია და თავის გასისხლიანებულ კუდს გაქანებული ილოკავდა.

— საწუალი, უბედური ციცუნია! — შევევირე მე და წამხედ ძთელი სახლობა დაკოდილ კატას შემოეხვია. ეველანი გულ მოდგინეთ და შეწუხებულნი დავსტრიალებდით თავს კატუნიას და ხელის ხლებას ვერ ვბედავდით, გვეშინოდა დაჭრილობა არ გვეტკინა, ბოლოს აღერსით და ფრთხილათ მხრებში ხელი წავავლე და ფეხზე დავაყენე; ეველანი სასტად დავრჩით. ციცუნიას მშვენიერი, გრძელი, მარბოსავით გაძლილი, გრძელ ბაღნიანი კუდი ზედ შუაზედ ჰქონდა მოწვეტილი!

— ვინ ჰქნა ეს? ვინ ჩაიდინა ამისთანა უკუნურება! ვჯავრობდი, ვევიროდი მე. — ვის რა დაუძავა

ჩვენმა ლამაზმა, დასატყუებელმა კატუნამ? და გაბრაზებული სამხარეულოში გავარდი შესატყუებით. ბავშვებიც, რასაკვირველია, უკან გამოძევენ.

ჩვენმა მხარეულმა დედაკაცმა ეძმაგურად ვაიცინა და უკმეხათ მომიგო: — წუწკის საქმე აგრეა, სიწუწკაზე თვალს მოსთხრიან, დაუპატიჟებელ სტუმარს, პირს არაზინ მოუკონის...

— რას ამბობ, რასა? დედაკაცო! ნუ თუ შენ გაბედე ციცუნიას დამახინჯება? ერთბაშათ მივარდით უველანი დარეჯანას.

— არა, არა, გეთაუვანეთ! აბა მე ხელს როგორ ვახლებდი თქვენ საერთო ნებიერას. მაგის ოინები დავითიანთ მხარეულსა ჰკითხეთ. საწუალი კაცი! მაგის გადამკიდე, მე მგონი, ახლაც ისევ ტირის.

— მას დავითიანთ მხარეულმა მოსჭრა კუდი? მოიცადოს, მოიცადოს! იმას უჩვენებ სეირს... და გააფთრებული შეუცვავდით ჩვენი შესობლების დავითიანთ ჰოვარს.

გიორგი მხარეული, დაბზახიელი, ხანში შესული კაცი, ჩვენ შესვლაზე არც კი გაინძრა, თავი მადლა არ აიღო. ის დაღონებულ-დამძარებული იჯდა და ორთავ ხელებზე თავი დაეკრძნო.

— შენ მოსჭერ კუდი? ავო, უღმერთო, არამსადავ... მივვარდი მე. — შენ გული კი არა, ჯოჯოხეთი გქონია გულის მაგივრად. დაიცადე შენს ბატონს მოვასხენო... დაიცადე...

— ოჰ! ოჰ! ქალბატონო, რო იცოდეთ რა საქმე მიყო თქვენმა ნებიერმა ციცუნიაძე! თავიც რომ მოქუცრა იმისთვის, ასი იყო... შრიელ, ძრიელ ვწუხვარ, რომ დანა მარტო კუდზე მოვასწარ და თავი კისერს არ მოვამორე.

— ოჰ, რეებს ამბობ, შე ურჯულო, შე ბოროტო...

— რეებს ვამბობ! კაცს სიბრახის სისხლი მახრჩობს. დღეს ქალბატონმა თავისის ხელით ნაუიდი, ასიზ-მაზიხათ ათას ქაღალდში განგუელი, ოთხი გირვანქა ორგული მიბოძა. — ხომ იცით ორგული რა ძვირფასი თევზია! და ამ დღესასწაულ დღეებში ხომ მამასისხლად იუიდება.

— ვინმლოვო, გიორგი, ისეთი წუნინანი გაგუიკეთო, რომ სულ თითებს ვილოკამდეთო, დღეს ძრიელ ძვირფასი სტუმარი გვევას სადილათ და თევზის მეტს არაფერსა სჭამსო. თან დაუმატა: „კირვანქაში ოთხი აბასი მადეცი, მაგრამ არ ვინანი, თუ შენც კარგათ მოამხადებო.“

— მეც ფრთხილად, ჰატვიისცემით, ნაწილ-ნაწილად დაუჭერი, აქვე ალუა ალუათ დაჭრილი ხახვი შემოუწეუ და ქვებისთვის მივბრუნდი თახჩისკენ. მანამ მოვბრუნდებოდი, მანამ ქვებს გადმოვიღებდი, სულ ერთი წაში არ გასულა და ამ ერთ წაშში თქვენი ციცუნია კი არა, ფოცხვერი, ვეძაზი, ეძაკის კერძი, საიდგანაც გახენილ იყო და ჰირისფერი, ძვირფასი თევზის ნაჭრები ნახევარზე მეტი შევსლავა!

— გამისკდა კუდი, სიმწარით თვალებიდან ნა-  
პერწკლები წამამცვივდა! დაჟავლე დიდ დანას სელი და  
გაჯავრებულმა ისე დაუსთხლიძე, რო მეგონა იქვე სულს  
გავაურეკინებდი, მაგრამ ის ისე მარჯვედ გამისხლტა  
სელიდან, რომ სტოლზე მარტო კუდის ნაკლეჯი-და  
დარჩა!


— ახლა რაღა ჰასუსი გავცე ქალბატონს და იმით  
ძვირფას სტუმარს. რაღა თევზი მივართვა?! აქ გიორ-  
გიმ ისე ამოიხსრა, ისეთი ძწუნარე სახის გამოსატუ-  
ლება მიიღო, რომ ჩვენ მიხვდით იმის კულის წურო-  
მას და უჩუმრად გამოვედით სამწარეულოდან.

ჩვენი საწვალე ციცუნია გუთხეში მიგებულ ფაღას-  
ზე იჯდა, თავისი დაკოდილი კუდი ქვეშ ამოედო და  
თავ-ჩაღუნული ძირს დაიუწებოდა. სირცხვილით ვე-  
ღარც-კი შემოგვხედა. ამან კარგად იცოდა, რომ გი-  
ორგიმ იმისი სახაქებო საქციელი გვიამბო და თვა-  
ლებს გვარიდებდა.

ჩვენც ხმა აღარ გავეცით, გვერდი აუარეთ და სუფ-  
რასე ჩუმათ დაგსხედით.

სადილზე ჩვენც თევზი გვექონდა, მაგრამ ციცო არ  
წამოსწვდა, უთუოთ კუდი ძრიელ ეწოდა.


ეკ. გაბაშვილი.





# ენკელა.

ჯერ ისევ მძინავს, როდესაც  
ბავშვები მელოდებიან;  
და რა გაზნდები, ისინიც  
ცას სიხარულით სწვდებიან ..



- ენკელა...
- ძინდვრის ვუბვილი...
- ვუელგან ცნობილი და ჰატვიცე-  
მული...

— გასაფხულის ჰირველი მახარობე-  
ლი! — აი, ვინ გასლაჟარ მე. . თუმცა  
ზამთარში თოვლის ქვეშ ვიშოფები,  
ძაგრამ ძინც არა ძცივა, როგორც  
ვუელა დედის უბე, ისე ჩემი მშობე-  
ლი მიწის გულიც თბილია...

როცა კი გასაფხულის ჰირი დად-  
გება და ცხოველ-მოფელი მსურვალე  
მზის გაშლილ სხივებ ქვეშ თოვლ-  
ვინული ცრემლათა ღსვება, ვუელანი  
გულის ფანცქალით მელოდებიან..

— ნამეტნავად ბავშვები... ოჰ, რა  
საუჯარლები არიან ეს დედის სატრ-  
ფო ვუბვილები... ამ დროს არც მე  
მძინავს... მათზე არა ნაკლები სიხა-  
რულით მოყვლი კეკლუც გასაფხულის  
ბრწვინვალე მზის ჰირველ სხივების



მიკვებებს, მშობლიურ, ნაცნობ სურათების სილვას და კიდევ ვინ იცის რას...

აფუგდება თუ არა დედაძინის შკერდი, მაშინათვე თავს წამოაფოფ, სასიცოცხლოთ ვიძლები და ვიფურჩქნები... მომკრავენ თუ არა ზაწაწა, ცელქი გოგობიჭუნები ცქვიტ თვალებს, აღტაცების სმით შესძახებენ: შენ გენაცვალე დედიკო, ენძელა მოსულა, ენძელაო და გამძლებულნი მორბიან ჩემსკენ სტუნვათაძაშით, ტუბილი სიციფი-კისკისით... უნდა უეუროთ, რა ჟივილ-ხივილით, რა წკრიალა სიმღერებით ავსებენ არე-ძარეს... ისეთი გაუაფიცებით შკრეუაძენ, — გეგონებათ ერთმანეთს ეცილებიანო და თანაც ლოცვავენ ჩემს მადლიან მშობელ დედა-ძინას...

მე კი ვთრთი, ვკანკალებ შიშისაგან, რადგანაც კარგად ვიცი რაც მოძელის იმათგან, მაგრამ კაცმა რომ თქვას, არც ისე ვჩივი, როგორც სოკიერთი ევაზილი...

ეს სომ ცხადია, რომ, ადრე თუ გვიან დაჭკნობა არ ამცდება.

მაშ, დეე ინეტარონ და იმსიარულონ ბავშვებმა... ერთხელ სომ ძანც ვისილე ტურუა ბუნება, ბრწინვალე მსე, ცის ობოლი ცრემლი... ერთხელ ხომ ძანც მომიგონებენ და იტევიან: დაიდუბა, დაჭკნა მშკენიერი ენძელა, მაგრამ ერთხელაც არ უარ უევიან თავისი სვედრი, არ დაუგძია გაჩენის დღე, არ დანანებია ნორჩი სიცოცხლე... უკანასკნელი მისი ცვარიც კი სიცილით გაძრა...

სიცილით იშვა და სიცილითვე მოკვდა ენძელაო...


გ. ქუჩიშვილი.

# რ ე ბ უ ს ი .

(წარმოდგენილი გ. ლეონიძესაგან)

სწრაფი  
პირუტყვი

, მ



, 100 , ა

მ  
ქ




,



მ

ზად

ჩამო



ა  
დ  
ა



კმაწყილებო! დააქერდით სურათს და დამიწერეთ ამაზე პატარა ამბავი; ვისიც დასაბეჭდათ გამოდგება, საჩუქრათ გაეგზავნება წიგნაკი: „ცხოველების გამჭირახობა“.

## ახალი წელიწადს.



ნელა... მსაფრი ქარიშხალი  
ჯაღოსნურად დაგრილოებს,  
რისხვით თოვლს ჰხვეტს შინდორ ველად  
და ჰაერში ატრიალებს.

ყინვით ბორკავს ნაკაღულსა,  
ამკვნესარებს გაარცვნილ ტყესა,  
რა სულ დგმულსაც მოახელებს  
ათრქვევინებს თვალთვან ცრემლსა.

ვანოსაც მის სუსხისაგან  
მთელი ტანით აცახცახებს,  
უსახლ-კაროდ, უპატრონოდ  
ქუჩა-ქუჩა დაწანწალებს.

და რა მოჰკრავს თვალს ოთახში  
გაბრწყინებულ შობის ხესა,  
გაიგონებს თვის სწორების  
უღარდელსა სიმღერებსა,—


დაუძახებს: ძმანო, ძმანო,  
მეც მიმიღეთ თქვენ წრეშიო  
ობოლი ვარ, არვინა მყავს  
შემწედ წუთი-სოფელშიო.

მაგრამ სახლში თბილად მყოფნი,  
ვერ ჰხედვენ ბავშვს შენაწუხსა.  
ვერ ამჩნევენ ზამთრის ყინვა  
რა რიგ ზქერს მკაცრ მარწუხსა.

ლხინობენ და ზეიმობენ,  
ნეტარების ცრემლი სცვივათ,  
ჰგონიათ, რომ ქვეყანაზე  
არვის ჰშიანთ, არვის სცივათ.

# ბიძიას ნაამბობი\*)

(ბავშვების ცხოვრებიდან)



## მასწავლებელთან.

ვენ ერთს დიდს ოთახში შეგვიყვანეს მოსაცდელათ... ის თქვენმა დამაწყევარის თვალემა ნახოს, რა სანახაობაც ჩვენა ვნახეთ ამ ოთახში: სკამები ერთი ერთმანეთზე აკოკავებული, მაგიდა გამტვერიანებული, საბავშო სათამაშოები იატაკზე მიყრილ-მოყრილი, კედლის სარკე-მიმტვერულ-მიფშვნიელი, იატაკი დაუგველ-დაუწმენდავი, ოთახის კუნჭულები ობობის ქსელით მოქარგული, წიგნები გამტვერიანებული და მიყრილ მოყრილი!... ჩვენ კედლის სურათებს დაუწყეთ თვალიერება... ჩვენი ყურადღება ბავშვების სურათებმა მიიპყრეს... მეტადრე ერთმა სურათმა მიგვიზიდა და ბევრხან შევაჩერეთ მას თვალეები: შუა ადგილას ჩვენი მასწავლებელი იყო დახატული თავისი მეუღლით, ამ უკანასკნელს კალთაში ბავში ჩაესვა და მადლიანი თვალეებით დასცქეროდა თავის საყვარელს შვილს, მასწავლებელი სკამზე ზის და მისი უფროსი ვაჟი ყელზედ მოჰხვევია და ჰკოცნის როდესაც ბედნიერ თავის მამას... სხვა სურათები-კი—მასწავლებლის მოწაფეების სურათები უნდა ყოფილიყო. ამ სანახაობამ გული ბოლნით ამივსო, თვალეებს ცრემლის ნაკადული მოაწვა, მთვრალი კაცივით წავტორტმანდი და სკამზე დავეშვი... ექვთიმე ბევრხან შესჩერებოდა ამ სურათებს და, ეტყობოდა, რომ იგივე ცეცხლი სწვავდა ამა-საც, როგორმა ცეცხლმაც დამწვა და დამდავა მე... ბეჟანაშვილი კი იდგა უძრავათ და დანაშაული კაცივით თვალი ვერ

\*) იხილეთ ჯეჯილის № X 1910 წლ.

გაეშტერებინა თავისი მასწავლებლის სურათისთვის... ძნელია ასეთი მდგომარეობა, ასეთი ყოფა ადამიანისა!.. მაგრამ ძნელი და აუტანელი უფრო ის იყო, როდესაც ხველა და კვნესა მოგვესმა მეორე ოთახიდან. ეს კვნესა იყო კვნესა საკუთარი ჩვენი გულისა! სისხლი მოაწვა თავს... სინანულმა და შეცოდებამ შეიპყრო ჩვენი ჯერეთ გაუფურჩქნელი გული და გაშეშებული ერთი ერთმანეთს დაუწყეთ ყურება... ასეთი აუტანელი ყოფა ბევრხან გაგრძელდებოდა, რომ მასწავლებლის საწოლი ოთახის კარები არ შექრიალებულიყო და იქიდან ახალგაზდა ექიმი არ გამოსულიყო და არ ეთქვა ჩვენთვის:

— ბავშვებო! შედით, ნახეთ თქვენი მასწავლებელი და ბევრხან კი ნუ დარჩებით!..

სკამებიდან დავიძარით, ბლუზები გავისწორეთ და შევედით იმ ოთახში, სადაც ჩვენი მასწავლებელი იწვა... საცოდავმა ძლივ-ძლიობით გვიცნო და ჩამოსართმევით ხელი გამოგვიწოდა... გულ-ჩათუთქულებმა დაეუწყეთ მის დამქნარ ხელებს კოცნა... რამდენიმე ხანი უძრავად ვიდექით მასწავლებლის საწოლის წინ და შევცქეროდით მის კეთილშობილ სახეს. ხმა-კრინტი ვერ დავძარით... ისევ ისევ მასწავლებელმა გაისწორა ჰალიში, შემოგვხედა, თვალი თვალს გაგვისწორა და ნელი დაუძღურებული კაცის ხმით დაგველაპარაკა:

— „გმადლობთ, გმადლობთ, რომ მოხვედით... და ნახეთ თქვენი საწყალი მასწავლებელი... ჩემი დღეები დათვლილია, ჩემო პაწაწინებო... ხვალ ან დღეს უნდა სული დავლიო!.. და იცით, აი, ამ პაწაწინა გვრიტებთან უნდა გადავსახლდე... და მიაშვირა ხელი იქვე პირდაპირ კედელზე დაკიდებულ სურათებზედ... ხომ იცნობთ თქვენ ამათ... აი ჩემს შალიკოს... ვახტანგს! დიახ, იქ უნდა გადავსახლდე... უნდა ვნახო... ივინი იქ უპატრონოთ არიან; უჟამოთ... სცივათ, შიანთ, ავათმყოფი დედა ვერაფერსა შეველის. ხა!.. ხა!...ხა... დიახ... ვერა შეველის... ხა! ხა! ხა!.. დაიწყო სიცილი და ამ სიცილს ტირილი მოაყალია... თითქო ჩაეძინა, დახუჭა თვალები და მერე რა მოუვიდა, მე აღარაფერი მახსოვს, რადგა

ნაც ჩემმა გულმა ვერ აიტანა ყველა ეს და გულ-შამოყრილი იატაკზე დავეცი და როცა გამოვერკვიე, შევნიშნე, რომ მე სკოლის საავტომობილოში ვიწექი და ჩემს ახლო ექიმი და ჩვენი კეთილი ზედამხედველი ისხდნენ. .

### ვასილ პეტროვიჩი გამოკეთდა!..

ამ ამბის შემდეგ ორმა თვემ გაიარა .. ცივა.. დიდიხანია მთები თოვლით შეიმოსა .. თუმცა ქალაქში თოვლი არ არის, მაგრამ თოვლიანი მთები სუსხს იძლევიან... ჩვენ თბილი ტანისამოსი დაგვირიგეს, მაღალ ყელიანი წაღები ჩავაცვეს .. ბუხრები მიათვალ-მოათვალაიერეს და ჩვენმა ბებრუცანა ივანემ 'შეშაც კი' შემოიტანა ბუხრების ასანთებათ... ახლოვდება ზამთარი და ცარიელდება ჩვენი სკოლის ეზოც .. გარეთ აღარავინ გამოდის, ოთახებში ჯგუფ-ჯგუფათ ვიკრიბებით მოწაფეები და სხვა და სხვა ,,თამაშობიანობას' ვიგონებთ... ბუნება მეტათ მოწყენილია, დაღვრემილი.. საწყალ ბელურებს სცივათ და მყუდრო ადგილს ეძებენ, რომ თავი დაიფარონ სიცივისაგან... დღეს კვირა დღეა, 22 ქრისტეშობისთვე და ორი დღის შემდეგ უნდა საშობაოთ დაგვითხოვონ... ბევრს უხაროან და მე კი სწორეთ გითხრათ არაფრათ მეტაშნიკება ეს ამბავი... არ ვიცი რა უნდა გავაკეთო. რითი გავერთო . ყველა სახლში მიემზადება, ყველას დედ მამა ჰყავს ახლო და მე კი არც მამა-მყავს და დედა ხომ ისე შორს არის, რო ჩიტიც რომ ვიყო, ვერ მივალწევ იმ ჩემ-არე-მარეს .. გვარაძე შინ დარჩება .. ბეჟანაშვილი დეიდას მიჰყავს თავისთან .. სკოლაში მხოლოთ რამდენიმე მოწაფე დავრჩებით... ამ ფიქრში და დარდში ვიყავი, როდესაც ბეჟანაშვილი შემოვარდა სკოლასში და შემოგვეყვირა: ,,ბიჭებო, ბიჭებო: ახალი ამბავი, ახალი ამბავი! ვასილ პეტროვიჩი მორჩენილა და ჩვენთან მოდის'.. ამ ყვირილმა ცოტა არა შემანძრია, ფიქრები მიმეფანტ მომეფანტა .. პირველათ ვერ მივხვდი, ვინ ვასილი პეტროვიჩზე იყო ლაპარაკი და ოთახიდან ფეხი არ დამიძრავს. სხვა ჩემი ამხანაგები კი გაცვივდნენ გარეთ და ცოტახნის შემდეგ ისევ ოთახში შემოვიდნენ ზედამხედველთან და ჩვენი

ავათმყოფ მასწავლებელთან ერთათ... ეხლა კი მეც გამოვერ-  
კვიე, მწუხარების ალაგი სიხარულმა დაიჭირა, სახე გამი-  
ბრწყინდა, სისხლი შესამჩნევათ წავიდ-წამოვიდა ძარღვებში ..  
უფროსმა გვიბრძანა დაჯდომა თვითონ მიათვალ-მოათვალე-  
რა ოთახი, გადმოგვხედა თავისი პაწაწინა თვალეებით მოწა-  
ფეებს, ჩუმათ რაღაც უთხრა ვასილ პეტროვიჩს და მშვენიე-  
რი ნახატებიანი წიგნი გადასცა და თვითონ გარეთ გავიდა

ოთახში სიჩუმეა, მკვდარი სიჩუმეა.. ყველა მასწავლე-  
ბელს მისჩერებია.. ყველა წინ იწევს, რომ უფრო კარგათ გა-  
იგონოს, რასაც მასწავლებელი იტყვის. ბეჟანაშვილი ყველა-  
ზე წინ წამოსკუპულა და სიხარულის სახით შესცქერის  
მას..: მასწავლებელიც შემოგვცქერის და გვიღიმი... გვია-  
ლერსებს.. სიბრაზის აღმური აღარ ამჩნევია მის სახეს. . მა-  
ლე წიგნი აიღო ხელში, გადაუფურცლ-გადმოუფურცლა, ადგი-  
ლი დაინიშნა, თვალეები გაგვიშტერა და რიხიანი, მაგრამ კე-  
თილი ხმით მოგვემართა:

— ბავშვებო! დღევანდელი დღე დაიხსომეთ! .. დღეს  
22 ქრისტეშობისთვეა... დაიხსომეთ, რომ დღევანდელ დღეს  
პირველათ, ავათმყოფობის შემდეგ, შემოდის კლასში თქვენი  
მასწავლებელი და ალერსიანათ გამარჯვებას გეუბნებათ .. წარ-  
სულ დღეებს ნუ ჩასთვლით სათვალავში, წარსული დღეები  
ჩემთვისაც და თქვენთვისაც ტანჯვის დღეები იყო!.. რათ  
იყო ასე, —ამას მერე მიჰხვდებით, როდესაც სწავლითა და  
აღზრდილთ შემკობილნი გამოხვალთ ცხოვრების ასპარეზზე  
საბრძოლველათ .. ახლა კი ამას გეტყვით, რომ ქვეყანაზე  
მე აღარავინ დამრჩენია, ოჯახის კერა დამეხშო... დამეშალა!...  
შვილები აღარ ათბობენ ჩემს გულს, მათი ტიკტიკ-ჭიკჭიკი  
აღარ ესმის ჩემს ყურებს. დღეს ჩემს ოჯახს თქვენ შეადგენთ,  
ჩემი შვილები თქვენა ხართ.., თქვენი კარგიანობა გამახარებს  
და თქვენი ცუდი ამბავი მომიკლავს გულს; მე თქვენ მეყვა-  
რებით და, იმედია, თქვენც არ დამტოვებთ უსიყვარულოთ...  
ურთიერთობითი სიყვარული — ხილია, მკვიდრი ხილი, სადაც  
თავისუფლათ შეგვეძლება სიარული თქვენცა და მეც .. დეე,



ეს ხიდი მკვიდრი ყოფილიყვეს და არავისი ხელი არ შეხებოდეს ამ ხიდს დასარღვევით... ასე, ჩემო კარგებო, ჩემო შვილებო! იყავით დღეგრძელი და თქვენი დღეგრძელი სიცოცხლით მეც, თქვენს მამას, გამიგრძელეთ სიცოცხლე!!“ .. სთქვა ეს აღელვებული ხმით და ზეცრივ შეჩერდა... ამ სიტყვამ მთელი კლასი ააღელვა, ელექტრონის ძალით გაიარა ჩვენს ტანში და დაგვამუნჯა... მხოლოდ ჩვენი გაშტერებული თვალები თანაგრძნობის ნიშნათ შესქეოლდნენ ჩვენს ჩანჯულს მასწავლებელს და იასა და ვარდსა ჰუენდნენ იმ ხიდს, რაზედაც უნდა გვევლო ჩვენცა და ჩვენს მასწავლებელსაც.. ცოტახანს შემდეგ მასწავლებელმა აიღო წიგნი, თვალი ერთხელ კიდევ გადაგვაფლო და გვითხრა: —აბა, ახლა დამიგდეთ ყური და მე ერთს კარგს რასმე წაგიკითხავთ“. ჩვენ სმენათ გადავიქეციით და მშვენიერი კილოთი დაიწყო კითხვა ისეთი ამბისა, რომელიც არ შემოძლიან არ გადმოგცეთ თქვენ:

### რანჯირათ უყვარდა პატარა ქალიშვილს თავისი მამა.

(ლ. ტოლსტოისა).

ჩინეთში არის ძველი კანონი, რომლის ძალითაც ხელებს აჭრიან იმას, ვისაც რაიმე ტყუილში დაიჭერენ. ერთხელ ერთი ჩინელი მანდარინი\*) ტყუილში დაიჭირეს ჩინეთის მეფე ბაგდიხანი განრისხდა მანდარინზედ და ბრძანა, — თანახმათ კანონისა დაესაჯათ იგი, — მოეჭრათ ხელები. მის დასახველათ ყველაფერი მზათ იყო, როდესაც სასახლესთან გაჩნდა სიუ ლიენი, ახალგაზრდა ქალიშვილი მანდარინისა და დიდი ხვეწნით ემუდარებოდა კარის კაცებს შეეშვათ იგი ბაგდიხანთან.

ამ თხოვნის შესრულება ძნელი იყო კარის კაცებისთვის, მაგრამ ცრემლმა და მუდარამ მოურბილა ამათ გული და გადასწყვიტეს შეეშვან იგი სასახლეში მრისხანე ბაგდიხანის სახახათა!

\*) მანდარინს ჩინეთში ჯდახიან წარჩინებულ კაცს.

სიუ ლიენმა დაინახა რა ოკროთი და მარგალიტებით შემკობილი მეფე, დაემხო მის წინაშე და მოახსენა:

„დიდო მეფეო! ამბობენ, რომ მამაჩემი ღირსი გამხდარა შენი რისხვისა. დასასჯელათ უნდა ხელგები მოეკვეთოს მას აი — ინებეთ ეს ხელები“ ქალიშვილმა ასწია და გაუშვირა ბოგდიხანს თავისი პაწაწინა ნაზი ხელები. — ეს ხელები, განაგრძო მან, ეკუთვნიან საცოდავ მამაჩემს. ამ ხელებს ჯერ არ შეუძლიანთ რჩენა სუსტი დედიჩემისა, ავათმყოფი ძმისა და ჩვილი დისა! ინებეთ ეს ხელები, უბრძანეთ მოკვეციონ იგი, რომ ამით შევძლო დავიხსნა მრჩენელი ხელები მამაჩემისა!“

ბოგდიხანი გაოცდა ამისთანა ბავშური სიყვარულით, მაგრამ მაინც უნდოდა გამოეცადნა მის წინაშე დაჩოქილი ქალიშვილი და ბრძანა:

— ადექ, იქმნეს ისე, როგორც შენა მთხოვ! დეე, შენი ხელები დაისაჯოს მამიშენის დანაშაული ხელების მაგივრათ!“

ბრძანა წაეყვანათ იგი დასასჯელათ და თავის დროზე მამაც გამოეყვანათ საპყრობილედან და მიეყვანათ იქ.

სიუ-ლიენი მიიყვანეს დასასჯელ ადგილს და დააყენეს კაცის სისხლით გათხუზნულ კუნძის წინ, შეუტრეს ხელები რკინის რგოლებით და აი მიუახლოვდა ჯალათიც ამოდებულ ზღლით.

სიუ ლიენი გაფითრდა, მაგრამ პატიობის შესახებ კრინტი, ხმაც არ დაუძრავს. გაგრიალდა ხმალი ხელების მოსაკვეთად.. ამ დროს გაჩნდა ბოგდიხანისგან გამოგზავნილი კაცი და ხელით რაღაც ანიშნა ჯალათს; ამ უკანასკნელმაც ღიმილით ხმალი მოაშორა ქალიშვილის ხელებს და ჩაავო ქარ ქაშში.

ამავე დროს გაიღო გაღაენის კარები და ქალიშვილის წინ გამოცხადდა მამა მისი და ორივე ხელით ჩაიკრა გულში თავისი მხსნელი ქალიშვილი.

ბოგდიხანმა აპატია მანდარინს დანაშაული და ბრძანება გასცა აღარავინ დაისაჯოს იმ აღაგას, სადაც გამოცდილ იყო პატარა ქალიშვილი. ამ ეზოში ამართეს ქვის სვეტი, შუაგულ

მარმარილოს დაფა გაუკეთეს და ოქროს ასოებით წააწერეს: „აჲ სიუ ლიენი, ქალიშვილი მანდარინი იხუნგისა, მზათ იყო მამის დასახსნელათ თავი თვისი შეეწირა ნეტარ არიან მამები, რომელთაც ასეთი ქალიშვილები ეყოლებათ, ნეტარ-არს დედამიწა, რომელზედაც აღმოფეთქს ასეთი სიყვარული!“

ქალიშვილი სიუ ლიენი აღიბეჭდა ჩვენს გულის ფიცარზე, როგორც გმირი გამსჭვალული კეთილშობილური გრძნობებით, რომელიც მზათ არის გასწიროს თავი თვისი დედ-მამის დასახსნელათ და უსამართლობის მოსასპობლათ ქვეყანაზე. კითხვა—კითხვაზედ მივაყარეთ ჩვენს მასწავლებელს. ამანაც სიხარულით ყველაფერი აგვიხსნა, ყველაფერი გავგაგებინა და წყნარათ დავშორდით ერთი ერთმანეთს ამ შესანიშნავი ამბის შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ.

(გაგრძელება იქნება).


აღ. ნათაძე.





იაკობ გომეზაშვილი.

# იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი.



ის თქვენგანს, ჩემო მკითხველო, არ გა-  
უგონია ეს საპატიო სახელი? ვის თქვენ-  
განს არ შეუსწავლია ქართული ანბანი  
იაკობის „დედა-ენის“ წყალობით? რო-  
მელ ქართველის ოჯახში არ გინახავთ ეს  
ნამდვილი ქართული საუნჯე: „დედა-ენა“?

— ყველა, ყველა ქართველის ოჯახში! შეჰყვირებთ თქვენ,  
იმიტომ რომ დედა-ენა მართლაც რომ ერთად ერთი წიგნია,  
რომლითაც მთელი ქართველობა სწავლობს ქართულ წერა  
კითხვას.

იყო დრო, როდესაც ქართველი მშობლები ქართულ  
ენას უარს ჰყოფდნენ და შვიდი-რვა წლის ბავშვებს პირდაპირ  
სხვა ენაზედ აწყებინებდნენ სწავლას; ამითი ამახინჯებდნენ ბავ-  
შვის ბუნებას და დალატობდნენ სამშობლო ენას. და აი ია-  
კობმა დაუღალავის შრომით ცხოველ ჰყო ყველასათვის ამ  
შეცდომის საშინელება. მთელი ორმოცდა ხუთი წელიწადი  
იბრძოლა მამა—იაკობმა დედა-ენის დასაცველად, როგორც  
გარეშე მტრებთან, ისე შინაურებთან და თითქმის დასძლია  
ისინი. ძლივ ძლივობით შეაგონა უგუნურთ ის აზრი, რომ  
„დედა-ენის“ შესწავლა, ცოდნა, ის სათაყვანებელი რამ სიწმინ-  
დეა, რომლის შეუგნებლად არც ერთი ადამიანი ადამიანად  
არ ჩაითვლება, სხვა ერთა შორის საპატიო ალაგს ვერ დაი-  
ჭერს, თავის საკუთარ ელფერს ვერ იქონიებს, თავის ეროვ-  
ნულ სიმშვენიერეს და სულიერ სიმდიდრეს ვერ შეინარჩუნებს.  
მთელი ქვეყნის პედაგოგნი ერთად და პედაგოგნი ცალცალკე  
ერებისა კერძოდ, ემსახურებოდნენ ამ აზრის განძტკიცებას,  
ამისათვის სწერდნენ, ქადაგობდნენ, ასწავლიდნენ და შეურ-  
ყველად დაუმტკიცეს კიდევ ურწმუნოთ, რომ მხოლოდ დე-  
და-ენაა საფუძველი ერის აღორძინებისა და გაფურჩქნისა.

ჩვენც ღმერთმა გვარგუნა ამისთანა პედაგოგი—იაკობ გოგებაშვილი, რომელიც დაუღალავად შრომობდა ორმოცდა ხუთი წელი და იშრომებს კვლავ, მანამ ძალა ექნება ხელში კალმის დაჭერისა. ორმოცდა ხუთი წელიწადი! იცი ჩემო პატარა, ეს რა დიდი დროა, რა დიდი მანძილია? ამ ხნის განმავლობაში სწავლობდა „დედა-ენის“ დახმარებით რამდენიმე თაობა შენამდე და ახლა შენზედ მოდგა ჯერი, შენს შემდეგ ისწავლის შენი შთამომავლობა და, აი ამ წიგნის და აზრის გამავრცელებელი მამა—იაკობი უნდა გვიყვარდეს წმინდის გულით, უძღვნიდეთ მადლობას დაუსრულებელს და ღმერთს ვთხოვდეთ იმის სიცოცხლეს მრავალ ჟამიერ!

ექ. გაბაშვილისა.



# კავკასიის ტყვე.

ლევ გოლსტოისა

(დასასრული)



ჟილინმა და კოსტილინმა გარდაიწერეს პირჯვარი და გაუდგენ გზას. ჩავიდენ მდინარესთან, გავიდენ ვალმა; ცა მოწმენდილი იყო; ძირს კი მინდორზე ნისლი აბნელებდა ყველაფერს. ჟილინი ვარსკვლავებით ატყობდა; რომელი მხრით უნდა ევლოთ.

ნისლში გრილოდა; კარგი სასიარულო იყო, მხოლოდ წაღები უშლიდათ ხელს,—ფეხი უსხლტებოდათ; ჟილინმა გაიხადა წაღები და ფეხშიშველა მიდიოდა. მიხტის ქვიდან ქვაზედ და თან ვარსკვლავებს აკვირდება: გზა არ შემეშალოსო. კოსტილინი თანდათან უკან რჩებოდა.

— ნელა იარეო, ეუბნებოდა ჟილინს, — დაწყევლილმა წაღებმა ფეხები მომხეხა სრულიადო.

— გაიხადე, უფრო კარგათ ივლიო, — ურჩია ჟილინმა. წავიდა კოსტილინი ფეხშიშველა, მაგრამ უარესი დაემართა: ფეხები სულ დაისერა ქვებზედ და უფრო უკლო სიარულს.

ჟილინი ეუბნება: — ფეხები კიდევ მოგიჩეხება და თუ თათრებმა დაგიჭირეს, იმათ კი ვეღარ გადაურჩებიო.

კოსტილინმა არაფერი არა სთქვა. დიდ ხანს იარეს. გზაზედ უცებ ძაღლების ყეფა შემოესმათ. ჟილინი გაჩერდა. ავიდა მალლობ ადგილას; გადახედა და სთქვა.

— ეხ! შევცდით, მარჯვნივ ვიარეთ. აქ სხვა სოფელია.

უკანვე უნდა წავიდეთ და მერე მარცხნივ ვიაროთ, აქ ტყე უნდა იყოს.

კოსტილინი ეხვეწება ჟილინს:

— ცოტა მაინც დავისვენოთ, ფეხები სულ სისხლით მაქვს შეღებილიო.

— ნუ გეშინია! ასე იხტუნე, აი, როგორც მე, უთხრა ჟილინმა; გამობრუნდა უკან და მარცხნივ მთისაკენ წავიდა. კოსტილინი სულ უკან რჩება და კვნესის; ჟილინი კი მიდის და მიდის წინ.

ავიდენ მთაზე. მთაზე მართლაც ტყე იყო, როგორც ჟილინმა დაინახა, როცა ათვალეირებდა იმ ადგილებს. ტყეში სულ შემოვხათ უკანასკნელი ტანთსაცმელი. როგორც იყო გზა ნახეს და დაადგენ ამ გზას.

„ჩუ!“ გააჩერა ჟილინმა ამხანაგი. ცხენის ფეხის ხმა შემოესმათ. გაჩერდნენ და სმენათ გადაქცნენ, ცხენივით დაიბაკუნა რალმაც და გაჩერდა. გაიარეს ცოტა, ისევ ესმით ფეხის ხმა. გაჩერდებიან და ხმაურობაც შეწყდება. გაიარა ცოტა ჟილინმა, ხედავს რალაც ცხოველი სდგას გზაზე; ვითომ ცხენია, მაგრამ ცხენს არა ჰგავს; ზურგზედ კიდევ რალაც უცნაური აზის, — კაცს სრულგებობით არა ჰგავს. დაიფშტვინა დაბალი ხმით ჟილინმა. უცებ ტყეში რალაც შევარდა, ხის ტოტებს სულ ლაწა-ლუწი გააქვთ.

კოსტილინი კინალამ გადაიჩია შიშისაგან. ჟილინი სიცილით ეუბნება:

— ეს ირემი იყო. ხედავ როგორ ამტვრევს ხის ტოტებს თავასი გრძელი რქებით? ჩვენ მისი გვეშინია, იმას კიდევ ჩვენი.

გაუდგენ ისევ გზას. განთიადის მოახლოვება უკვე დაეტყუა ბუნებას; მაგრამ იქით მიდიან თუ არა, საითკენაც უნდა იარონ, ეს კი არ იციან.

ჟილინი ფიქრობს: მე სწორეთ ამ გზით წამომიყვანეს და ჩვენს ცხემლის ათ ვერსზედ მეტი აღარ უნდა იყოსო. კოსტილინი ძალიან დაიღალა; დაჯდა და ამბობს:

— რაც გინდა მიყავი, მაგრამ სიარული აღარ შემიძლია! ბევრი ეხვეწა ჟილინი.



— არა, არ შეგიძლია. გაიძახე და კოსტილინი.

განრისხდა ჟილინი, შეფუთობა და გალანძღა ამხანაგი.

— მე მარტო წავალ, მშვიდობით!

კოსტილინი წამოდგა და გაჰყვა. გაიარეს ოთხი ვერსი. ნისლი უფრო გასქელდა არაფერი არ იხედებოდა. ვარსკვლავებიც ოდნავ ბუუტავდნენ.

უცებ, კიდევ ცხენის ფეხის ხმა შემოესმათ. ესმით ქვებზე როგორ წაიფოარხილებს ხოლმე ცხენი. ჟილინი მიწაზე გაინართხა და ყურას გდება დაუწყო, მართლა მოდის ვინმე თუ არაო.

— აქეთ ცხენოსანი მოდის, სთქვა ჟილინმა.

გადავიდნენ გზიდან და ჩირგვებს ამოეფარნენ; ჟილინი მივიდა ჩუმად გზის პირას. ხედავს: ცხენოსანი თათარი მოდის, ძროხას მოდენის და თან ცხვირში რაღაცას ლულლულდებს. თათარმა რომ გაიარა, ჟილინი კოსტილინთან მივიდა და უთხრა:

— ღმერთმა დაგვიფარა! ადექი, წავიდეთ!

წამოიწია კოსტილინმა ასადგომათ და დავარდა ისევ მიწაზე. ტანშიმომე და მსუქანი კოსტილინი ოფლში იყო გაწურული. ცივმა ნისლმა ფეხშიშველა დაოფლიანებული კაცი სულ დააუძლორა. ჟილინს უნდოდა ხელით წამოეყენებია, მაგრამ, მოკიდა თუ არა ხელი, კოსტილინმა ცოფიანივით დაიყვირა:

— ვაი, მიშველეთ! მტკივაო!

ჟილინი მკვდარივით გაშეშდა.

— რას ყვირი? არ იცი, რომ ის თათარი ისევ ახლოს იქნება და გაიგონებს?! თან ფიქრობს: მართლაც ძალიან დასუსტდა, რა უნდა მოვეუხერხო? ამხანაგის დატოვება როგორ იქნება?!

— თუ სიარული არ შეგიძლია, მომეკიდე ზურგზე და მე წაგიყვანო. შეისვა ზურგზედ კოსტილინი, ამოჰკიდა ფეხებზე ხელები და გაუდგა გზას. — მხოლოდ ყელში ნუ მიჭერ ხელს, მხარზე დაეყრდნეო, — უთხრა ჟილინმა.

ჟილინს ძალიან უჭირდა სიარული. ფეხები მასაც დასისხლიანებული ჰქონდა. დაიხრება, უფრო ზევით შეისვამს კოსტილინს, არ ჩამოვარდესო და მიდის გზაზე.

აღბათ თათარმა გაიგონა კოსტილინის ყვირილი; მალე ჟილინს უკანიდან ხმაურობა შემოესმა, ვილაც ცხენოსანი თათარი მიდიოდა გავიდა ჟილინი და ხეებს ამოეფარა. თათარმა მოიმიზნა თოფი, ესროლა ჟილინს, მაგრამ ვერ მოარტყა. დასჭყვივლა თავისებურათ და გააქანა ცხენი.

— დავიღუპეთ, ძმაო, — ამბობს ჟილინი; ის ეხლა შეაგროვებს თათრებს და უკან დაგვედევნება, თუ სამი ვერსი არ გავიარეთ, დავიღუპებით. — თითონ კი ბრაზობს თავის თავზე. რათ ავიკიდე მეტი ბარგი? მე რომ მარტო ვყოფილიყავი, აქამდის ციხეში მივიდოდით!

— წადი მარტო! ჩემი გულისათვის რათ უნდა დაიღუპო. უთხრა კოსტილინმა.

— არა არ წავალ! ამხანაგის დატოვება როგორ შეიძლება? შეისვა ისევ ზურგზე კოსტილინი და წავიდა:

გაიარეს ერთი ვერსი. სულ ტყეა და ტყე; დასასრული არა სჩანს. ნისლი დაიფანტა, ვარსკვლავები თითქოს ჰქრებიანო. დაიტანჯა საბრალო ჟილინი. გაიარა ცოტა კიდევ და გზაზე წყარო დახვდა. გაჩერდა, ჩამოსვა ძირს კოსტილინი, რომელიც ეხვეწება:

— დავისვენოთ, ცოტა წყალს დავლევ და პატარა პურსაც შევატანო. აქედან აღბათ ახლოს არის ჩვენი ციხეო.

დაიხარა თუ არა წყლის დასაღვავათ, ცხენების ფეხის ხმა შემოესმათ; გავარდენ და ისევ ჩირგვებში მიიმაღენ. მალე შემოესმათ თათრების ხმა, სწორეთ იმ ადგილიდან, სადაც მათ გადაუხარეს გზიდან. მოილაპარაკეს თათრებმა და მერე ძაღლები მიუხიეს. ესმით, როგორ მიდის მათკენ უცხო ძაღლი. მივიდა ახლოს ძაღლი, გაჩერდა და შეჭყეფა.

მოცვინდენ უცხო თათრები, დაიჭირეს ორივე, შეუკრეს ხელები, შესვეს ცხენებზე და წაიყვანეს. სამი ვერსი რომ გაიარეს, აბღული და ორი სხვა თათარი შეხვდათ. მოელაპარაკენ თათრები ერთმანეთს, გადასვეს ტყვეები აბღულის ცხენებზე და სოფლისაკენ წაიყვანეს.

სოფელში გათენებისას მივიდნენ. ჩამოიყვანეს ტყვეები ცხენებიდან და ქუჩაში დასვეს. მოცვივდენ პატარა ბავშვები

და ქვეების სროლა დაუწყეს ჟილინსა და კოსტილინს. ცოტა ხნის შემდეგ შეიკრიბენ ერთად თათრები; მოხუცი თათარიც ჩამოვიდა მთიდან. დაიწყეს ცხარე კამათი. მიხვდა ჟილინი, რომ მათ შესახებ იყო ლაპარაკი. ზოგიერთები ამბობენ: სხვა სოფელში გადავიყვანოთო; მოხუცი თათარი კი გაიძახის: „უსათუოთ მოგკლათო“. აბდული არ თანხმდება: „მე ამათში ფული მაქვს მიცემული; ჩემი ფული და შრომა უნდა ავინაზ. ღაუროო“. მოხუცი მაინც თავისას არ იშლის: „არაფერსაც არ მოგცემენ, მარტო ხიფათს შეგამთხვევენ; სხვა არა იყოს რა, ცოდვაც არის რუსების რჩენა

„მოკვალით ორივე, მორჩა და გათავდა“

დაიშალენ. აბდული ჟილინთან მივიდა და ეუბნება: ეხლავე ორმოში ჩაგაგდებთ ორივეს. და თუ კიდევ მოინდომეთ გაქცევა, ძაღლებივით დაგხოცავთ. კიდევ მისწერეთ წერილები თქვენებს, რომ ფული გამოგიგზავნონ. კარგათ მისწერეთ! მოუტანა ქაღალდები და მათაც დასწერეს წერილები. ამათ გაუყარეს ფეხებში ბორკილები და მეჩეთს იქით გაიყვანეს. იქ ხუთი არშინის სიღრმე ორმო იყო და იმ ორმოში ჩასვეს ორივენი.

უფრო ცუდათ წავიდა ტყვეების ცხოვრება. ბორკილებს დღისითაც არ ხსნიდენ და არც თავისუფალ-წმინდა ჰაერზე უშვებდენ. ძაღლებივით ჩაუგდებდენ ორმოში გამოუმცხვარ ცომ-პურს და ლიტრით წყალს... ორმოში მყრალი სუნი და შეხუთული ჰაერი იდგა. კოსტილინი სრულიათ დაავათმყოფდა. სულ კვენსოდა; თუ არა და ეძინა ღღეც და ღამეც. ჟილინიც დაღონდა, რადგანაც ხედავდა, რომ საქმე ცუდათ იყო. არ იცოდა, რანაირათ დაეღწია თავი უბედურებისაგან.

შეეცადა, კიდევ გამოთხარა ხვრელი, მაგრამ ნათხარი მიწა ვერსად წაიღო; იქვე ჩაყარა ორმოში, მაგრამ აბდულმა შენიშნა და დაემუქრა მოგკლავო!

ზის ჟილინი დაღვრემილი და ფიქრობს; უცებ მუხლებზედ ხაჭაპური დაეცა; ერთი, მეორე და მესამე. აიხედა ზევით ჟილინმა და დინა დაინახა. დინამ ერთი გაიცინა და გაიქცა. ჟილინს ერთმა აზრმა გაურბინა თავში: „დინას შეუძლია ჩვენი დახსნაო!“

ქილინმა ორმოში თიხა მოძებნა და სათამაშოების კეთება დაიწყო. გააკეთა თიხისაგან ძაღლები, ცხენები და სხვა ნივთები. — დინა მოვა და აქედან აუგდებ ამ ნივთებსო“.

მეორე დღეს დინა სულ არა სჩანდა; მხოლოდ ცხენების ჭიხვინი შემოესმა ქილინს. ვიღაც სხვა თათრები მოვიდნენ სოფელში. შეიკრიბნენ თათრები და დაიწყეს ხმა-მალლა ყაყანი, რუსებს ხშირად ახსენებდნენ. კარგათ ვერ გაიგო ქილინმა მათი ნალაპარაკევი, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ რუსები ახლოს არიანო, ლაპარაკობდნენ და ეშინოდათ: სოფელში რომ შემოვიდნენ, ტყვეებს რა მოეუხერხოთ?

მოილაპარაკეს და დაიშალნენ. უცებ ზეგით, ორმოს თავზე, რაღაც ფაჩუნნი შემოესმათ. ქილინმა მალლა აიხვდა და დინა დაინახა, რომელიც დაჩოქილიყო და ორმოში ჩამოეყო თავი. თვალები ცეცხლივით უბრწყინავდნენ. ამოიღო კალთიდან ორი ხაჭაპური და ქილინს ჩაუგდო ორმოში.

ქილინმა აიღო ხაჭაპური და ეკითხება:

— აქამდის რათ არ მოხვედი? მე შენ სათამაშოები დაგიმზადე. აჰა! წაიღე. — უთხრა და აუგდო დინას ნივთები

დინა თავს აქნევს, — არ მინდაო; დაღონებული ეუბნება ქილინს: — „ივანე, შენ მოკვლას გიპირებენო“. ყელზედ ისვამს ხელს, რომ ანიშნოს ქილინს.

— ვის უნდა ჩემი მოკვლა?

— მამას, უთხრა დინამ, მოხუცი უბრძანებენ. მე შენ ძალიან შებრალები.

— თუ ძალიან გებრალები, წადი და გრძელი ჯოხი მომიტანეო, უთხრა ქილინმა.

დინამ თავი გააქნია, — არ შეიძლებაო. ქილინმა გულზე დაიწყო ხელები და ევედრება:

— დინა, ღვთის გულისათვის, მომიტანე! დინა!

— არ შეიძლება: ყველანი სახლში არიან და დაინახავენო და წავიდა.

სადამო დროს ზის ქილინი ორმოში და ფიქრობს, რა მოგველისო. ცა ვარსკვლავებით მოიქედა. მოლამ თავისებურათ მოუწოდა ხალხს სალოცავად. ყველაფერი დაწყნარდა. უცებ

ჟილინი ხედავს, რომ ორმოს ნაპირზე გრძელი ჯოხი ეშვება. მიხვდა რაშიაც იყო საქმე, გაეხარდა ძალიან. სტაცა ჯოხს ხელი და ჩაიტანა ორმოში. ეს ჯოხი ჟილინს სახლის სახურავზედ ენახა ხოლმე. შეხედა ზევით ჟილინმა და დინა დინახა, რომელსაც კატასავით გამოეჭყიტა თვალები. დაიხარა დინა და ეჩურჩულება ჟილინს: „ივანე, ივანე!“ თან ხელით ანიშნებს: ჩუქათ ილაპარაკე, თორემ გაიგონებენო.

— რა იყო? ჰკითხა ჟილინმა.

სულ ყველანი წავიდნენ. სახლში მხოლოდ ორი დარჩა.

— აბა, ამსანაგო, წავიდეთ, უთხრა კოსტილინს ჟილინმა.

— არა, ძმაო, მე სად უნდა წავიდე, როცა განძრევაც არ შემიძლია!

— მაშ, მშვიდობით! გადაკოცნა ჟილინმა და გამოეთხოვა. მერე მოსჭიდა ჯოხს ხელი და შეეცადა აცოცებულიყო. ჯოხის თავი დინას ეჭირა ხელში. ორჯერ ძირსვე დაეშვა ჟილინი. ბორკილები უშლიდნენ ასვლას. მერე კოსტილინიც მოეხმარა და როგორც იყო აცოცდა ორმოს პირამდის; აქ დინამ მიაშველა ხელი და ამოიყვანა ორმოდან.

ამოიღო ჟილინმა ჯოხი ორმოდან და დინას გადასცა: „თავის ადგილას მიიტანე, თორემ გაიგებენ და ცუდ დღეს დაგაყენებენო“. დინამ ჯოხი წაიღო და ჟილინი კი მთისკენ წავიდა. მივიდა კლდესთან, მოსძებნა მაგარი ქვა, ბორკილის ბოქლომის მტვრევა დაიწყო. ბოქლომი ძალიან მაგარი გამოდგა. დიდხანს ეწვალა, მაგრამ ვერაფერი დააკლო. ესმის, ვიდაც მორბის. „ეს დინა იქნებაო“, გაიფიქრა ჟილინმა. მოირბინა დინამ; აიღო ქვა. „მოიტა! მე გაეტეხამო“ — დაჯდა და დაუწყო ბოქლომს ტრიალი. თავისი უძლური ხელებით ვერაგაწყო რა. გააგდო ხელიდან ქვა და ტირილი დაიწყო. ისევ ჟილინმა სცადა ბოქლომის გატეხა; დინა კი ახლოს დაჯდა და ხელები მხარზედ დაადო ჟილინს. შეხედა ჟილინმა ცას და შეამჩნია, რომ მთვარე მალე უნდა ამოსულიყო. იფიქრა: „მთვარის ამოსვლამდის ეს ხეობა უნდა გავიარო და ტყეში შევიდეთ“. წამოდგა ფეხზე, გამოეთხოვა დინას:

— მშვიდობით დინა! მე შენ არასოდეს არ დაგივიწყებ.  
დინამ კიდევ ხაჭაპური მისცა, — გზაზე მოგშვივდებოა.

— გმადლობ, ჩემო კარგო. მაგრამ უჩემოდ ვინღა გა-  
გიკეთებს ხოლმე დედოფალებს?

მოფეფრა ქილინი, თავზე ხელი გადაუსვა დინას და გან-  
შორდა.

ატირდა პატარა დინა, პირისახეზე ხელები მიიფარა და  
ხტუნვით გაიქცა სახლისაკენ.

ქილინმა პირჯვარი გადაიწერა; ბორკილები ხელში აიღო  
და გაუდგა გზას. იცოდა კარგათ, რომ ამ გზით რვა ვერსი  
უნდა ევლო. მხოლოთ მთვარის ამოსვლამდის ტყეში უნდა  
შესულიყო. გავიდა მდინარეში. მიდის მინდორზე და ცას  
გასჩერებია, მთვარე ხომ არ ამოდისო. მთვარის შუქმა თან-  
დათან გაანათა მიდამო. ტყის ჩრდილი უფრო და უფრო  
უახლოვდება ქილინს.

ქილინი ტყის ჩრდილში მიდის, რომ არავინ დაინახოს.  
ქილინი ჩქარობს რაც შეუძლია, უნდა ტყემდის მაინც მივიდეს,  
სანამ მთვარე ამოვიდოდეს, მაგრამ ტყუილად; ის იყო, მიუ-  
ახლოვდა ტყეს და მთვარეც ამოვიდა. ყველაფერი განათლდა  
ისე, როგორც დღისით. ხეებზე ყოველ ფოთოლს გაარჩევდა  
ადამიანი. სამარისებური სიწყნარე იყო ირგვლივ. მარტო მდი-  
ნარის ჩანჩქარი-ღა ისმოდა ამ სიჩუმეში. ტყემდის ისე მივი-  
და ქილინი, რომ გზაზე არავინ შეფეთებია. ამოიჩჩია ბნელი  
ადგილი ტყეში და დაჯდა დასასვენებლათ. დაისვენა ცოტა  
ხანს; ერთი ხაჭაპურიც შეჭამა; მოსძებნა ქვა და ისევ ბორ-  
კილის ბოქლომის გატეხა სცადა. დიდხანს ეწვალა, მაგრამ  
ვერაფერი გააწყო. ადგა, გაუდგა ისევ გზას. ძალიან დაილა-  
ლა: გაივლის ათ ნაბიჯს და გაჩერდება. — რა გაეწყობა, უნ-  
და ვიარო, სანამ ძალი შემწევს, თორემ, თუ დავჯექი, ზეზედ  
ველარ წამოვდგები. ეხლა ციხემდის მაინც ვერ მივალწევ. დღე  
ტყეში დავიმალე და ღამით ისევ ვივლი და მივალ უსა-  
თუოდო“, — ფიქრობდა ქილინი.

მთელ ღამეს იარა ქილინმა. გზაზე მარტო ორი ცხე-

ნოსანი თათარი შეხვდა; მალე შეიტყო მათი მოახლოვება და ტყეში დაიმალა. დილის მოახლოვება უკვე იგრძნო ჟილინმა და ჯერ კიდევ ტყე არ ჰქონდა გავლილი.

ფიქრობს: „კიდევ ოცდაათ ნაბიჯს გავივლი, გადავუხვევ ტყეში და დავისვენებო“. გაიარა კიდევ ცოტა. ხედავს: ტყე გათავდა; მის წინ დიდი მინდორი გადაიშალა. მინდორის მალ-ცხნივ რუსების ციხე დაინახა. იქვე ახლოს ცეცხლი იყო გაჩაღებული და გარს ხალხი შემოხვევოდა.

დაუკვირდა კარგათ; ხედავს, თოფები პრიალობენ; მიხვდა: ესენი ჩვენი ჯარისკაცები არიანო. გაეხარდა ჟილინს. უკანასკნელი ძალა მოიკრიფა და წავიდა ციხისაკენ. თან ფიქრობს: „ღმერთმა დამიფაროს, თორემ, აქ რომ თათრებმა დამინახონ, თუმცა ახლოს ვარ ჩვენებზე, მაინც ვერ გავექცევით“.

ჯერ კიდევ ამ ფიქრში იყო, გაიხედა და ორი დღიურის სიშორეზე სამი შეიარაღებული თათარი დაინახა. თათრებმა მოჰკრეს თვალი ჟილინს და იმ წამსვე მისკენ გაექანენ. ჟილინის შიშმა აიტანა.

რაც შეეძლო, დაუკვირა თავისიანებს:

— ძმებო! ძმებო! მიშველეთ! დამიხსენით!

გაიგონეს ყაზახებმა ჟილინის ხმა და მაშინვე ცხენებით გაექანენ, რომ სათარები მოეშორებიათ. ყაზახები შორს იყვნენ, სათარები კი ახლოს. ჟილინი გარბის რაც შეუძლია და ყვირის — მიშველეთ, ძმებო! დამიხსენით!

ყაზახები თხუთმეტი კაცი იყო. შეშინდენ თათრები და გაჩერდნენ.

მიცვინდენ ყაზახები ჟილინს. შემოეხვეიენ გარს და დაუწყეს კითხვა. ვინ ხარ, ან საიდან მოხვალა?

ჟილინი გონს ვერ მოსულა; ტირის და იმეორებს: მიშველეთ, ძმებო! დამიხსენით!

მოვიდნენ სხვა ჯარისკაცებიც: ვინ ჰურს აწვდის, ვინ არაყს. ბორკილებიც შემოხსნეს.

აფიცრებმა იცვნეს ჟილინი და ციხეში წაიყვანეს. ჟი-


ლინის მოსვლა ჯარის-კაცებს ძალიან გაუხარდათ. შეიკრიბნენ ამხანაგები ჟილინთან და ამბავს ჰკითხავდნენ.

ჟილინმა ყველაფერი უამბო: როგორ მოხვდა ტყვეთ და რა გაჭირვება გამოიარა, თან დაუმატა:

— ესეც შენი სახლში წასვლა. ალბათ არ ყოფილა ჩემი ბედი, უკანასკნელათ დედა მენახაო.

ჟილინი ისევ კავკასიაში დარჩა. კოსტილინი კი მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გამოისყიდეს ხუთათას მანეთად. ციხეში ცოცხალ-მკვდარი მოიყვანეს.

ბ. ვეფხვაძე.





# შესანიშნავი ქვეყანა.

ხ მ რ კ ი ნ ის ნ ა წ ვ მ თ ი.

(სკიპიდარი).

VIII.




არლსტონიდან რომ სამხრეთისაკენ წამოვედით, ორი საათის სავალის შემდეგ, მივადექით ზღვის ნავთ-სადგურს სავანის, რომელიც იქვე ახლო, თვით მდინარე სავანის შესართავშია. ქალაქი შესანიშნავია ბაზბის დასატყევი მანქანებით და ბრინჯის წისქვილებით. მაგრამ უფრო შესანიშნავია იგი, როგორც მთელს დედამიწაზე უმთავრესი ნავთსადგური, საიდანაც იგზავნება ყველგან ხე-რკინის ნაწვეთი, ანუ სკიპიდარი და ხის წებო. რამდენსამე ხანს, წლის განმავლობაში სავანის კიდეები სავსეა სკიპიდარის ბოჭკებით, რომელნიც ევროპაში იგზავნებიან. სკიპიდარს გზავნიან აგრეთვე შეერთებულ შტატების სხვა და სხვა ადგილებში გემებით და რკინის გზებითაც.

სკიპიდარსაც და წებოსაც ჰხდიათ ხის წვენიდან, ანუ ფილიდან, რომელსაც ერთგვარ, მაღალ ფიჭვნარიდან იღებენ. სკიპიდარს ხმარობენ სანდალოზის და სხვა-და-სხვა რამეების გასაკეთებლათ. ხის წებოს ხმარობენ საპნის და კიდევ ერთგვარ სანდალოზის გამოსახდელათ. მისგანვე აკეთებენ საკრავი სიმების წასასმელ სითხეს.

ფიჭვის ტყეს, რომელშიაც ხეები ისეა შეჭრილი და მომზადებული, რომ იქიდან უნდა წვენი გადმოიღონ, ჰქვიათ ხე-რკინის ნაწვეთის ანუ სკიპიდარის ფერმა. ამ წვენს აგროვენ და სკიპიდარი გამოჰყავთ. ამისთანა ფერმები არის ატლანტიის ოკეანეს სამხრეთ კიდეებზე, ჩრდილოეთ კაროლინიდან დაწყებული ფლორიდამდის და ლუიზიანამდის. აქ ისეთი დიდი ტყეებია, რომ ზოგჯერ კაი მანძილიც რომ გაიარო, ძე-

ხორციელს ვერა ნახამ, გარდა ცოტაოდენი შემუშავებული ადგილებისა; აქაურობა სავსეა ხე-ტყით. მხოლოდ იშვიათათ შეხედებით მომუშავე კაცებს, რომელნიც კუნძებს, ან ხისგან ფისს აგროვებენ. პოულობენ სკიპიდარს უმეტესად ჩრდილოეთ კაროლინაში, მაგრამ ამ გვარად ფისის ჩამოცლა ხეებს ისე აენებს, რომ ამ ადგილებში ფიჭვის ტყე თითქმის გადაშენდა. ამიტომ სკიპიდარის ფერმებს, უფრო სამხრეთისაკენ აკეთებენ. მას დაფინახამთ ახლა ასობით საფანნიში, ალბამში, ლუიზიანაში და სხვა სამხრეთ შტატებში.

რამდენიმე ათასი ფიჭვის ხე შეადგენს ერთ ფერმას. თვითოეული ხე სქელი არ არის. მაგრამ ძალიან მაღალი და ძალიან სწორია; ზოგი ხე სიმაღლით უდრის რვა სართულიან სახლს და ეს ხე მხოლოდ კენწეროზე იკეთებს ტოტებს.



ამ გვარ ტყეში მაღალი ბალახი არ ამოდის და ამიტომ აქ თავისუფლად სიარული შეიძლება. ყოველ ხეზე ერთ, ან ორ ალაგას მომზადებულია ისეთი ადგილები, სადაც ქერქს აძრობენ და ადგილს ამოსჭრიან. აქ რომ დავაჯერდეთ, ვნახამთ, რომ განგებ გაკეთებულია ჭურჭლის მგზავსი სიღრმე, ანუ ყუთი, რომელშიაც გროვდება ხიდან გამოსული წვენი.

ფერმის სიდიდე შეიტყობა ამ ყუთების რიცხვით. ზოგიერთ ფერმას აქვს მილიონი ამ გვარი ყუთი. ამისთანა ფერმებზე ზამთრის დასაწყისში მუშაობენ ასობით ზანგები. ესენი ხეს აცლიან ქერქს და ამზადებენ ამგვარ ყუთებს წვენის მოსაგროვებლად. თითო ხეზედ ჩვეულებრივ ორი კაცი მუშაობს: ერთი — ერთი მხრიდან და მეორე — მეორე მხრიდან, ორივეს ცულები უჭირავთ ხელში. ამათ იციან საერთო მუშაობა, ხოლო საერთოთ ჰყავთ ზედამხედველი.

სკიპიდარის ნოგროვება იწყება გაზაფხულზე, როცა ხეს წვენი ჩაუდგება. ამ დროს ეს წვენი თეთრ დიდრონ წვეთებათ წამოვა და ყუთში გროვდება. აქ სქელდება და ფისათ იქცევა.

რამდენიმე დღეში ყუთები ივსება, და მუშები კასრებით ხელში უვლიან ხეებს და იღებენ ამ სითხეს. მერე კასრებიდან ბოჭკებში ასხამენ და ბოჭკებით მიაქვთ ქარხნებში გადასადუღებლათ. ზაფხულის განმავლობაში ხშირ-ხშირად გაუვლიან ხეებს, რომ ყუთის პირი არ დაიხუროს, და აცლიან ზედ დარჩენილ გამხმარ ფისს. მეორე წელიწადს ხეებს უფრო ზემოთ უკეთებენ ყუთებს და მაშინაც ასევე აგროვებენ ფისს. მაგრამ მეორე წელიწადს ფისი ისეთი კარგი აღარ არის, როგორც პირველ წელს იყო. თან და თან ფისი შავდება და ფუჭდება, მებზთე და მეექვსე წელს ისეთი ჩაშავებული და უვარგისი ხდება, რომ გამოსაყენი აღარ არის. და თითონ ხეც ფუჭდება, ხმება.


ახლა მივხედოთ ბოჭკას, რომელიც ფისით სავსეა. იქიდან როგორ აკეთებენ ხე რკინის ნაწვეთს—სკიპიდარს და წებოს. რვა ფისით სავსე ბოჭკიდან გამოდის ორი ბოჭკა სკიპიდარი, დანარჩენი წებოა. ამას აკეთებენ სკიპიდარის ქარხნებში. შორიდანვე მოისმის წებოს სუნი. როცა მოუახლოვდებით ფანხატურს, სუნი მეტის-მეტათ მოგვესმის. ფისში ჯერ წყალს ურევენ და დიდ ქვაბში ასხამენ, ქვაბი ჩამდგარია აგურის ფეჩში, მას მილი აქვს სახურავით. ფეჩში ცეცხლი უკეთია, ფისი დნება. სკიპიდარი მაღლა ორთქლათ ადის და ქვაბის მილიდან გამოდის, რომელიც გარედან წყლით ცივდება და სკიპიდარის ორთქლიც ამ მილში თან-და-თან ცივდება, — აკეთდება სითხეთ. ბოლოს მილიდან გარეთ გადმოდის სუფთა გამსქვირვალი სკიპიდარი. ამას ასხამენ ბოჭკებში და გააქვსთ გასაყიდათ.

ქვაბში რჩება წებო, როგორც სქელი სითხე, ისიც გადააქვთ ბოჭკებში. იქ თან-და-თან სქელდება და მზათ არის გასაყიდათ.

იმ ხეებიდანაც, რომლიდან იღებენ სკიპიდარის სითხეს, გამოდის საუკეთესო შენობის ფიჭვები. რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ ვხედავთ სახერხავებს, სადაც ფიჭვის ხეებს ფიჭვობათ ამზადებენ და გზაზე იან შეერთებულ შტატების სხვა და სხვა ადგილებში. ფიჭვის ფიჭვებს ზოგჯერ ეძახიან გიორგისეულ ყვითელ ფიჭვს, რომელსაც ხმარობენ იატაკის ზემოდან დასაქრავათ (ПАРКЕТЪ) და ფიჭვული ოთახების მოსართავათ.

სამხრეთ შტატებში მდებარე ტყეებს დიდი ფასი აქვთ. ახლა ბევრ ადგილებში გაჰყავთ რკინის გზები, რომ ფიჭვები მარჯვეთ გაიტანონ იმ ადგილებში. საცა მის გასაკეთებლად ქარხნებია. ამ მხარეში ტყეებს დიდი ადგილები უჭირავთ. აქვე არის ბევრი ქაობიანი ადგილები, სადაც ხეირობს მცენარეები: კიპაროსი, წებო-ხე და სხვა შენობებისთვის მშვენიერ მასალათ გამოსაყენი ხეები. ზოგიერთი ქაობები ისეთი დიდია, რომ აღაშინის ფეხი არც კი მიჰკარებია. ოკეფინოკსკის ქაობები ისეთი სქლათ მოფენილია მცენარეებით, — გეგონებათ ტროპიკული ტყეაო, იქ ისეთი ჩაღრმავებული ადგილებია, რომ კაცი, ან ცხენი თუ ჩავარდა, მათ ვეღარავინ უშველის. გველებიც ბევრი იცის. ზოგ ადგილას ფლორიდის და გიორგიას წყლებში ბევრი ალიგატორებიც არის.

(შაჰდეგა აქნება)



# მარშანდელი ბუზი.

(ზღაპარი მაქს ნორდაუსი)



ენ გეცოდინება<sup>ა</sup>რა ემართებათ ბუ-  
ზებს. შემოდგომა რომ დადგება. რო-  
გორც-კი აცივდება, ბუზებს, თით-  
ქოს სიცოცხლე ეზარებათ, დაჯდე-  
ბიან ფანჯრის მინაზე და მაშინაც  
კი არ აფრინდებიან, როდესაც შენ  
ხელს ახლებ. უცებ ამჩნევ, რომ ბუ-  
ზები უძრავად მიჰკვრიან მინას და  
თითქოს აღარც-კი ცოცხლობენ.

ერთხელ ცხოვრობდა ერთი დიდი  
შავი ბუზი, სახელად ზუმ-ზუმი.

ერთ თბილ ზაფხულის დღით ის  
შეფრინდა სამზარეულოში გაღებულ  
ფანჯრიდან და მას აქეთ აღარც გა-  
მოსულა იქიდან, მას მოეწონა ეს  
მშვენიერი ადგილი. შკაფში ყოველ-  
თვის ელაგა შაქრის ნაჭრები, მაგი-

დაზედ რძე, ან ყავა, მას შეეძლო ეჭამა და ესვა, რამდენიც  
უნდოდა. როდესაც მოსწყინდებოდა მსუნავობა, ის ფეხებით  
იწმენდა ფრთებს და ზურგს.

ამ კეკლუცობას რომ გაათავებდა, ის ცნობის მოყვარეო-  
ბით თვალს ადევნებდა მზარეულ დედაკაცს მაშოს, რომე-  
ლიც ცეცხლთან მუშაობდა.

შესტკეროდა, როგორ ანთებდა ის ცეცხლს, სდგამდა  
ქურებზე ქვაბებს, აყრიდა მარილს, რალაცეებით ჰკაზმავდა,

ურევდა კოვზით, ხდიდა ქაფს. ზუმ-ზუმა ცდილობდა გაეგო, რითი შეეძლო მას დღეს პირის ჩატკბუნება. როდესაც მაშო სამხარეულოდან გავიღოდა, ზუმ-ზუმი კრიტიკანს ბაასს დაუწყებდა. ეს კრიტიკა იქავ ბუხრის საკვამლის ქუქრუტანაში ცხოვრობდა და ძლიერაც დაუმეგობრდა ბუხს. კრიტიკა მეტათ მხიარული იყო. მთელი დღეობით მასხრობდა, ტიკტიკებდა, სხვა და სხვა ამბებს მოჰყვებოდა. ნაცნობებიც და სტუმრებიც ბევრი მოდიოდნენ ამათთან; როგორც კი დილას მაშო გაადებდა ფანჯარას, მაშინათვე შემოფრინდებოდა გროვა ბუხებისა, — ამათ შორის იყვენ ამის დები, დეიდები, მეზობლები, რომელნიც მიესალმებოდნენ თუ არა ზუმ-ზუმს, მოუყვებოდნენ ამბებს. ზუმ-ზუმი მოწიწებით გაუმასპინძლდებოდა ამათ ქადების ნარჩენით და ტკბილეულობით. ეს ყოველისფერი მას ბევრი ჰქონდა და შეეძლო სხვებისათვისაც ეწილანდა. სამხარეულოში მუდმივი ქეიფი იყო, დრო სისწრაფით გადიოდა, ბუხებმა ვერც კი შეამჩნიეს, როგორ გათავდა ზაფხული და შემოდგომა კარს მოადგა.

ზუმ-ზუმმა ეს არ იცოდა. ის მშვენივრად გრძობდა თავს. გარეთ კი ყოველ ღამე თრთვილს სდებდა. მაგას რა ენაღვლებოდა? სამხარეულოში თბილოდა. მაგრამ ამასთანავე ზუმ-ზუმი ამჩნევდა რომ რაღაც მოულოდნელი რამე ხდება ქვეყნიერობაზე. მაშო ახლა სულ იშკიათად აღებდა ფანჯრებს და ამის ნათესავეებს და ნაცნობებს მოსვლა აღარ შეეძლოთ. თუ დრო გამოშვებით რომელიმე ამხანაგი შემოფრინდებოდა მასთან, იმასაც რაღაც უცნაური შეხედულობა ჰქონდა, თითქოს ეძინებო, კითხვებზე ძლივს იძლეოდა პასუხს და ხანდისხან, რაც საშინლად ამინებდა ზუმ-ზუმს, იქვე სიტყვის გათავებასაც კი ვერ ასწროებდა, ისე ვარდებოდა გაუნძრევლათ იატაკზე.

ზუმ-ზუმი ეკითხებოდა კრიტიკანს, რას მოასწავებს ეს? მაგრამ კრიტიკა პასუხს არ იძლეოდა. მაშინ ზუმ-ზუმი მიცოცდა მის ქუქრუტანასთან, შეეხედა შიგ და დაინახა, რომ კრიტიკა იწვა პირქვე ფეხებ გაშოტილი და მაგრად ეძინა. ასე ეძინა მას დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე. ზუმ-ზუმს ვერ გაეგო მიზეზი და ძლიერ დაღონდა, მან მოიცნადა

და ერთხელ როცა მაშო გავიდა სამზარეულოდან, გაჰყვა. მას, უნდოდა გაეგო, რათ არ მოდიან მასთან სტუმრები! დები, დეიდები და ზოგი მისი იშვიათი სტუმრები რატომ არიან ასე მოწყენილნი და დასუსტებულნი, რათა ხდებიან ხშირად ავად და კვდებიან, როდესაც შემოფრინდებიან ხოლომე მასთან სამზარეულოში ყავის დასალევად.

მაგრამ ქუჩაში ზუმ ზუმს კინალამ უბედურება დაემართა. სულ ცოტა ხანი იყო გარეთ, უნდოდა თვალი მოეგლო ყოველისფრისთვის, უნდოდა გაეგო, თუ როგორ შეიცვალა არემარე, მაგრამ სიცივემ უცებ ძვალში გაუარა: ფრთები დაუძიმდა, ფეხები გაუშეშდა, თვალებში დაუბნელდა, საბრალოდ ძლივსლა მოიკრიფა ძალა და მაშოს თავსაფარზე ჩამოჯდა და ამ რიგათ მოვიდა სახლში. მაშო არ ყოფილიყო, ზუმ-ზუმი ცოცხალი ვერ დაბრუნდებოდა შინა

ზუმ-ზუმი გრძნობდა, რომ დიდ ხიფათს გადარჩა და სიამოვნებით ფეხებს ერთმანეთს უსვამდა. ზუმ-ზუმი გულკეთილი იყო, ის ფიქრობდა არა მარტო თავის თავზე, არამედ სხვებზედაც: თავის დებზე, დეიდა-შვილებზე, დეიდებზე, ნაცნობებზე და მეზობლებზე, რომლებთან ზაფხულში ისეთი სიამოვნებით ატარებდა დროს, — დაფრინავდა მათთან, თამაშობდა, დაბზუოდა. რა დემართათ იმათ? უსათუოდ ყველანი დაიხოცენ. ასე რომ არ იყოს, ერთ-ერთი მაინც მოფრინდებოდა სტუმრათ. არავინ კი არ მოდის, ეს ამბავი ძლიერ აღონებდა ზუმ-ზუმს, და თუმცა თვითონ კარგად იყო, ის მაინც ხშირად იჯდა კუთხეში მოწყენილი, ოხრავდა, ეცოდებოდა მოშორებული ამხანაგები. ეგებ, ტიროდა კიდევ, ამაზედ ვერას ვიტყვი, რადგანაც ბუჩის ცრემლები ისეთი პატარებია, რომ თუ კარგად არ დააკვირდი, ვერც კი შეამჩნევ.

ზუმ-ზუმი მშვენივრად იკვებებოდა, ბლომათ სჭამდა, ბლომათ სვამდა, თბილათაც იყო, დიდ-ხანს ეძინა, მეტიც იყო ამდენი ძილი, გაზარმაცდა — გასუქდა, ფრენა უძნელდებოდა, უფრო სიამოვნებით დაცოცავდა, ან იჯდა კედელზე, ან სუფრაზე. თვითონაც უკვირდა ეს ამბავი, — უწინ ისე უყვარდა მოძრაობა, ახლა კი როგორ დამძიმდა. ნელა ნელა ამასაც მიე-

ჩვია. ყველაფერს მიეჩვევი, მარტოობასაც კი, თუმცა მარტოობა ძლიერ ძნელია.

ზამთარი იყო გრძელი, და თუმცა ზამთარში დღეები მოკლეებია, ზუმ-ზუმს მაინც საკმარისი დრო ჰქონდა, რომ დაფიქრებულიყო. ძლიერ აღელვებდა მას ერთ რამეზედ ფიქრი, — მოისპენ სამუდამოდ ბუზები თუ არა! მას ეშინოდა იმისი, რომ ის მარტო ერთად-ერთი ბუზი არ იყოს ქვეყანაზე. საშინელებაა მარტოდ ყოფნა. ეს სიკვდილზე უარესია. მოკვდები და გათავდა ყოველისფერი. სიცოცხლეში კი რამდენ ტანჯვას და ვაებას გამოივლი. მართალია ერთი მეგობარი კიდევ შერჩა, ჭრაჭინა; მაგრამ ამას სულ ეძინა და ეძინა, და რას გაიგებდი იმისაგან. ვინ იცის გაიღვიძებდა ის როდისმე? და თუ გაიღვიძებდა, ის მართალია მეგობარია, მაგრამ მაინც უცხოა მისთვის და ნათესავობას ვერ გაუწევს. ამაზე რომ მოჰყვებოდა ფიქრს, ძლიერ დაღონდებოდა, მაშინ არც შაქარი, აღარც ყავა და არც ქაღები ტკბილად აღარ ეჩვენებოდენ რათ უნდა სიმდიდრე, თუ ვერავის ვერ უწილადებს? როგორც იყო, ზამთარსაც ბოლო მოეღო, დადგა გაზაფხული. მზე აღრინდელივით ანათებდა, თბილოდა, ხეების გამხმარ ტოტებზე ყლორტები გამოჩნდა.

ერთ დღიას რაღაც საოცარი ამბავი მოხდა. მაშომ ფართოდ გააღო ფანჯარა: სამზარეულოში შემოვარდა სასიამოვნო ჰაერი. ზუმ-ზუმს ჯერ ტანში გააზრიალა, მერმე-კი თითქოს გამოცოცხლდა, თავი ახალგაზრდათ იგრძნო. ცოტა ტორტმანის შემდეგ, მან დასტოვა თავისი კუთხე, მაგიდას და კედლის შუა, და გაფრინდა გაღებულ ფანჯარიდან — და, ღმერთო დიდებულო! მას მოესმა ირგვლივ თავისიანების სასიამოვნო ბზუილი, რომელსაც ამოდენა ხანი მოკლებული იყო. ახლა ბუზები ლამაზები, ცელქები, ეს ბრკვეიალა ბუზები, გუნდ-გუნდათ ტრიალებდენ, თამაშობდენ მზის სხივებით განათებულნი. ზუმ-ზუმში სიხარულისაგან გაბრუებული, ფართოდ ფრთებ გაშლილი, ხან ერთს ეცემოდა, ხან მეორეს, უნდოდა ჩაეკრა ყველანი გულში, დაეკონა, ის ყვიროდა აღელვებული: „სა-



ყვარელო დებო, საყვარელო დეიდებო, რა ბედნიერი ვარ, რომ ამ დღეს მოვესწარ, ისევ ვხედავთ თქვენ, ჩემიანებს -

ბუზები კი არ ეკარებოდენ იმას, ტრიალებდენ მოშორებით და გაკვირვებით უცქეროდენ მას.

— ეს ვინაა, ეს ფუტურო, დაიყვრა ბოლოს ერთმა.

შეხედეთ ერთი რასა ჰგავს ეს გასიებული ქალბატონი,“ დაიყვრა მეორემ.

— „ქალბატონო, ფრთები არ გაგისუფთავებიათ დღეს! — დასცინა მესამემ


ყველას სიცილი აუვარდა.

ზუმ-ზუმს ძლიერ გაუკვირდა და დალონდა. თანაც ფრენამაც დაღალა და დაეშვა ფანჯრის ფიკარზედ. დალონებულის ხმით ის ყველას ეკითხებოდა: „ნუ თუ ვერავინ ვერ მცნობს? მე ხომ ზუმ-ზუმი ვარ.“ ის ასახელებდა თავის ნათესავებს, დებს, ამხანაგებს, რომელნიც შარშან მასთან ერთად ახალგაზრდები იყვენ და შეჭხაროდენ სიცოცხლეს.

ახალი ჩამომავლობა ამ დასახელებულებში ვერავის ვერ ცნობდა და რაც უფრო ბევრს ჩამოსთვლიდა საბრალო ზუმ-ზუმი, მით უფრო მტრულათ უცქერდენ ახალი ბუზები. ისინი ბზუოდენ, — „ერიდეთ, მაგ მატყუარასა“.

— „მოდიტ ჩემთან, რათ არ მეკარებით, ევედრებოდა მოკრძალებით ზუმ ზუმი. შარშან მყავდა იმოდენა დები და მეგობრები. ჩვენც თქვენსავით გუნდ-გუნდათ დავფრინავდით, როგორც თქვენ ახლა. ყველაზე მზიარული მე ვიყავი. მერმე კი მოვიდა შემოდგომა, ყველანი დაიხოცენ, მარტო მე დავრჩი, მეგონა ქვეყნის დასასრული მოვიდათქო. მაგრამ დახეთ, ისევ გაზაფხულია, მე ისევ ვხედავ ჩემიანებს. ვხედავ მათ მზიარულებას. და მეც ბედნიერი ვარ. რისთვის მიმზერთ ასეთი უნდობლობით, რათ მერიდებით, რათ არ მცნობთ თქვენ დაიათ?“

ახალგაზრდა ბუზები მოუახლოვდენ და უგდებდენ ყურს გაკვირვებულნი, სანამ ხველა არ აუტყდა ზუმ-ზუმს, და კინალამ არ დაიხრჩო. მაშინ ერთმა ბუზმა, ფირუზის ფერ თვალებიანმა, რომელიც უნა ყველაზე ავი ყოფილიყო, უთხრა: — ქალბატონო, რასაც ბრძანებთ, სისულელეთ მიმაჩნია. თქვე-



ნა გგონიათ რომ, ჩვენ სულ აღარა გვესმის რა! ჩვენი დაბრძოლება აგრე ადვილი არ არის. რას ამბობდით შარშანდელ წელზე? ყველა ბუზმა იცის, რომ ქვეყნიერება ჩვენი იწყება; ჩვენამდე არაფერი არ ყოფილა. ბუზები რო კვდებოდენ, ჯერ არავის არ უნახავს. ის კი შეიძლება, რომ ბელურამ შეჰქანოს ბუზი, ან მერცხალმა. შემოდგომა და ზამთარი რომ ამბობ, ამაზედ ჩვენ არაფერი არ გავგვივია. იმ დროიდან, რაც ბუზები ქვეყნად მოვიდნენ, ყოველთვის ასე იყო, როგორც ახლა. გრცხვენოდეთ, რა სისულელეს რომაი!

დანარჩენმა ბუზებმა ბუზილით დაუმოწმეს სიმართლე, ერთმა კი ხმა მალლა დაიყვირა.

„განა ვერ ხედავთ, შემლილია! მოშორდით ერთი მაგ სულელს, წავიდეთ, ვითამაშოთ“.

ბუზებმა გაისწორეს თავისი ზურმუხტოვანი ფრთები და მხიარულად გაიფანტენ.

— დებო, საყვარელო დებო, ვევედრებოდა— ადელევებული ზუმ ზუმი; მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევდა, ერთი წუთის შემდეგ ის დარჩა მარტოდ ფანჯრის ფიცარზე, დანარჩენები კი მხიარულად გაეხვიენ მზის ოქროვან სხივებში.

დიდხანს იჯდა ზუმ-ზუმი. გარეტიანებული, მას ვერ გაეგო. რათ მოექცენ აგრე უფულოდ მისი დები, რომელთაც ასე მოელოდა მთელი ზამთარი.

ბოლოს, გადასწყვიტა მან დაბრუნებულყო თავის სამზარეულოში, ენახა, გაიღვიძა თუ არა მისმა ქრიჭინამ და ეამბნა მისთვის ყველაფერი, რაც მოხდა. გაეზიარებინა თავისი ნაღველი. ქრიჭინა მართლაც გაღვიძებული დახვდა, მაგრამ მასთან სტუმრად სხვა ქრიჭინა იყო. ორივე ისეთი გატაცებით ქრიჭინობდენ, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებინათ. ზუმ-ზუმი მიცოცდა ჭუჭრუტანასთან, შეჰყო თავი, ცოტათი მორცხვობდა კიდევ, მეგობარმა მკვახედ შემოსძახა:

„რა გნებავთ, ვერა ხედავთ, რომ სტუმარი მყავს თქვენთან სალაპარაკოთ არა მცალიან.“


ზუმ-ზუმი უსიტყვოდ გაბრუნდა თავის კუთხეში, დაღონებულმა ჩაჰკიდა თავი და უძრავად მიჯდა. კიდევ რაღაც ახა

ლი გაჩნდა ქვეყანაზე, ქვეყანა სავსეა ახალი ცხოვრებით, ზუმ-ზუმს კი რა? ზუმ-ზუმი დაბერდა, ზუმ-ზუმი მეტი შეიქნა ამ ახალ ცხოვრებაში

„მეც უნდა მომკვდარვიყავი შემოდგომაზე ჩემ დებთან ერთად, ფიქრობდა იგი და მოწყენილი თვალს ადევნებდა შავ კვამლს. რომელიც ბუხრიდან საკვამლეში ადიოდა რომ მერმე სულ მალლა ასულიყო და გაჰკროდა ლურჯ ცას. ის უყურებდა ამ კვამლს, და მასაც მოუნდა მალლა ასვლა, უნდოდა გახვეულიყო მასში, და მისი თბილი, სუბუქი ნოდრათ ბით გატაცებული ლაყვარდ ცისაკენ წასულიყო. ის მიცოცავდა იქითკენ, უახლოვდებოდა კვამლს; მისწრაფებას და სურვილს ვეღარ ასცილდა და მასთან არც ბრძოლა შეეძლო. ის შეუერთდა კვამოს და კვამლმა იგი დაფარა მან არ იცოდა მერმე რა მოხდა; თავი გაებრუა, გონება დაჰკარგა, ის დავარდა, და ერთი წუთის შემდეგ ზუმ-ზუმი დაფერფლილი ეგდო გაღუებულ ნაკვერცხალზედ. ის აღარ იტანჯებოდა, რადგანაც ცეცხლში რომ ჩავარდა, აღარას გრძნობდა.

ქუჭრუჭანაში ჭრიჭინა ჭრიჭინებდა. ფანჯარასთან-კი დაბზუოდენ ბუხები, — დარწმუნებულნი იყვენ ისინი, რომ მუდამ იცოცხლებენ, — თუ ან ბელურა და ან მერცხალი არ შესჭამს მათ.

ა. ფ.




# კ უ.



ქნება ვაგიგონიათ, რო იტყვიან ხოლმე, კუსავით დადისო? ეს ნიშნავს ძალიან ნელა სიარულს და ამისთანა მოსიარულეს ადარებენ ერთს ცხოველთან, რომელსაც ჰქვია კუ. კუ ცხელი ქვეყნების და ზომიერ-თბილი ქვეყნების ცხოველია. მას შეხედებით ჩვენს სამშობლოშიაც, საქართველოში. თუ ვისმე თქვენგანს ჯერ არ უნახავს ეს ცხოველი და არ იცის, რა სახისაა, ადვილად წარმოიდგენს ამ სურათის საშვალებით. ჩვენებური რკუები პატარა ტანისანი არიან, ცხელ ქვეყნებში კი უფრო დიდი რკუები იცის: მაგალითად, ინდოეთის ოკეანისა და დიდ ოკეანის კუნძულებზე იმისთანა დიდ რკუებს შეხედებით, რომ თითოეული მათგანი სიმძიმით ოცდაათი—ოცდა თხუთმეტი ფუთი მოვა. არის ერთგვარი კუ, რომელიც ერთი საყენის სიგრძე იქნება. მას ეძახიან სიდიდის გამო **სპილო-კუს**.

ტანზე ასხია კუს ორი მაგარი სახურავი: ერთი ზვეითგან გადახურვია სარქველსავით და მეორე მუცელს უფარავს, გვეგონებათ აბჯარი აუსხამს ტანზე, რომ მტერმა არაფერი მავნოსო. პირველი სახურავი ღრმა არის და ამობერილია, მეორე კი ისე ღრმა არ არის;



**სპილო რკუები.**

უფრო გაშლილია. ეს ორი სახურავი გვერდზე მარჯვნივ და მარცხნივ მიკრულნი არიან ერთი მეორეზე და წარმოად-

გენენ კოლოფს, ანუ ხოკერს (ხოზოკურას), რომლის წინა-  
უკანა მხარე ღია არის კულისა, თავისა და ფეხების გამო-  
საყოფად. თითონ ხოზოკურა შესდგება რქის-გვარ ნივთიერე-  
ბისაგან და უსწორ-მასწორი ზედა პირი აქვს. უთუოდ გაგიგო-  
ნიათ, „კუმ ფცხი გამოჰყო—მეც ნახირ-ნახირიო“. როდესაც  
სიარული უნდა კუს, მაშინ იგი გამოჰყოფს ხოლმე ხოზოკუ-  
რადან თავსა და ფეხებს, დადგება ოთხზე, წინ კისერს გაი-  
შვერს და მიდის როგორც ოთხფეხი, მაგრამ ნელა მიდის, სულ  
ნელა. ძალიან მშვიშარა ცხვივლია: როგორც კი დაინახავს რა-  
მელსამე ცხოველს ან ადამიანს, მაშინვე თავსა და ფეხებს და-  
მაღავს ხოზოკურაში და დაეშვება ძირს მიწაზე.

სპილო-კუ რომ გითხარით, ისიც ისეა ჯავშან ასხმული,  
როგორც სხვა, მაგრამ სხვა რკლებთან შედარებით იმან შესამ  
ჩნევად უფრო ჩქარი სიარული იცის. როდესაც დიდებული  
ინგლისელი მეცნიერი, ჩარლს დარვინი, სპილო რკუების ცხო-  
ვრებას იკვლევდა, მას შემთხვევა ჰქონდა მჯდარიყო კუზე.  
ჩარლსი გამოუდგებოდა მიმავალს კუს, დაიჭერდა და შედაკუბ-  
დებოდა ზურგზე. სპილო-კუ პირველად გაჩერდებოდა და დაი-  
მაღებოდა თავის ხოზოკურაში, მაგრამ მერე, როდესაც კარ-  
გათ დაარტყამდა ზურგზე რამდენიმეჯერ, იგი ნელ ნელა გა-  
მოჰყოფდა ფეხებს და თავს, წყნარად დადგებოდა ფეხებზე,  
გაიშვერდა წინ გძელ კისერს და გასწევდა. სასაცილო რამ  
არის, მართალი მოგახსენოთ, და გასართობიც ადამიანის ჯდო-  
მა კუზე, მაგრამ სასიამოვნო კი არაფერი უნდა იყოს იმდენი,  
რადგანაც უსწორ-მასწორი ზურგი ხოზოკურასი გვარიანად  
დაუბეჭავს მას საჯდომს.

კუ ბევრნაირია ქვეყანაზე: ზოგი პატარაა, როგორც ზე-  
მორე ვსთქვი, ზოგიც დიდი, ზოგი უმეტეს ნაწილად ხმელეთ-  
ზე ატარებს თავის სიცოცხლეს ნოტიო ადგილებში, და და-  
ბალ მღვრიე გუბებში, და ზოგი კი მდინარეებში და ზღვებში  
სცხოვრებენ. ჩვეულებრივი კუ, რომელსაც ხშირად შეხვდე-  
ბით თბილს ქვეყნებში, სიგრძით ხუთი, ხუთ ნახევარი გოჯი  
იქნება, თუ კუდს არ ჩავსთვლით, კუდიანათ კი შვიდი გო-  
ჯიც იქნება.




საზრდოობს კუ მიწის სხვა და სხვა ნაყოფით, სხვა და სხვა ბალახით, ჭიებიტა და მწერებით, რომელნიც წყალში ატარებენ თავის სიცოცხლეს, ისინი სჯამენ ლოჯორთქინას, კიბოს და თევზს. ჭამა საოცარი იცის კუმ: ერთს შექმაზე ბევრს შესჯამს ხოლმე, თუ ბლომად იშოვა საქმელი, და გაძლება ისე. რომ მერმე შეუძლია მთელი ოთხი-ხუთი თვე უქმელოდ გაატაროს.

მრავლდება კუ კვერცხებით. დედა-კუ გაჰქექს ხოლმე უკანა თათებით მიწას ქვიშოვანს ადგილზე და ჩასდებს ორმოში 8—15 მრგვალ თეთრ-თეთრ კვერცხებს, რომლების ნაჭუჭი მაგარია (ზღვის კუს კვერცხებს ნაჭუჭი მაგარი არა აქვსთ: ნაჭუჭის მაგივრად რბილი კანი აქვსთ). ეს ადგილი უნდა იყოს მზის გულზე. ჩასდებს თუ არა კვერცხებს, ზევიდან მიწას წააყრის და მიანებებს თავს. ამას იქით აღარავინ არ ზრუნავს მის შთაშობავლობაზე, მხოლოდ დიდებული ციური მნათობი თავის ცხოველ-მყოფელი სხივებით ათბობს ქვიშაში ჩაფლულ კვერცხებს და ამზადებს მათში ახალ-თაობას რკუებისას. ახლოდ გამოჩეკილი პატარა რკუები თითონ იწყებენ თავის თავზე ზრუნვას; მათი პატრონი სხვა არავინ არის. რომელიც გაიზრდება და მტერს გადურჩება, დიდ ხანს სცოცხლობს ამბობენ მოშინაურებული რკუები ადამიანის რაედენსამე თაობას გამოიცვლიანო.

ძალიან დიდი ცხოველობითი ძალა კი აქვს მინიჭებული კუს; ბევრი ჭრილობაც რომ მისცე, რამდენსამე თვეს კიდევ შეუძლია მაინც მოძრაობა, თითქო სულ უვნებელი იყოს. თავ მოჭრილი რკუები რამდენსამე კვირას სცოცხლობენ და, ხელი რომ მიაკაროთ, იგრძნობენ და იმ წამსვე შესწევენ ფეხებს თავის ხობოკურაში. ერთი კუ, რომელსაც ამოსჭრეს თურმე თავის ტვინი, ექვსი თვის განმავლობაში კიდევ დაბობდავდა მიწაზე. პარიზში ერთს ბოტანიკურს ბაღში კუმ ექვს წელიწადს იცოცხლა უქმელოდ.

ერთ ნაირი კუა, რომელსაც ესახიან „ვეროპიულ ემილდას“, მისი სამშობლოა შუა ევროპის სამხრეთი და აღმოსავლეთი ქვეყნები (უნგრეთი, ბალკანის ნახევარ კუნძული, დუ

ნაის დაბლობი, იტალია და სამხრეთი საფრანგეთი); უყვარს ცხოვრება მდინარე წყლებში და გუბეებში. ტყვეობის ატანა ადვილად შეუძლია, თუ ასაზრდაებ თევზით, ჭიკაძელოთი და ჯიშის ხორციით. მოშინაურება იცის იმდენად, რომ აღარ უფრთხის ადამიანს. თუ თბილს ბინაზე გყავს, მთელს ზამთარს ისე გაატარებს, რომ მძინარებას არ მიეცემა, და თუ აუზში გყავს სადმე, მაშინ, როგორც კი აცივდება, საზამთროდ მიწაში ჩაიფლდება და სძინავს იქ გაზაფხულამდის; გაზაფხულზე გამოიღვიძებს, ამოვა მიწიდან და ეძებს მარჯვე ადგილს, რომ კვერცხები დადვას. როდესაც იპოვის ამისთანა ადგილს, იგი მაშინვე განთავისუფლდება იქ წყლისაგან, რომელიც წინად დაუღვია ბევრი, — გამოღუშვებს მას სხეულიდან და დაასველებს მიწას, რომ დაარბილოს იგი და



**ევროპიული ემიდა.**

ადვილად გაიკეთოს კვერცხების ჩასადები ორმო. მერმე თავის კუდს, რომელიც თითის ტარის ბოლოსა ჰგავს მოყვანილობით, ჩაარქობს და სველებულ ადგილს და გააცეთებს მიწაში ნახვრეტს. მასუკან უკანა ფეხებით გააგა-

ნიერებს ამ ნახვრეტს და დაიწყებს კვერცხების დებას. ამ დროს ორმოსთან სდგას ახლოს ისე, რომ უკანა ნაწილი ტანისა ორმოს პირთანა აქვს მიჯნაილი. კვერცხებს რო სდებს, მაშინ ხან ერთს უკანა ფეხს ზიაშველებს მის ტანიდან გამოძვრალ კვერცხებს და ხან მეორეს და ამნაირად ხან ერთი

ფეხითა, და ხან მეორით აწყობს ორმოში ახლად დადებულ კვერცხებს. ბოლოს, როდესაც სულ დასდებს, რაც დასადები იყო (საზოგადოდ ცხრა კვერცხი იცის ამ კუმ), ზევიდან მიწას წააყრის და შემდგომ რამდენიმეჯერ დააქერს თავის ხობოკურას ღონიერად, რომ დასტკეპნოს მიწა.

ერთი მკვლევარი მოგვითხრობს საინტერესო ამბავს, თუ რამდენად შესაძლებელია ემირა მიეჩვიოს ადამიანს:

— ჩემს ცოლს ჰყავდა წყალში შენახული ხუთი პატარა კუ; ჯერ იგინი პატარაები იყვნენ. ერთი მათგანი კიდევ უფრო პატარა იყო სხვებზე, მაგრამ ყველაზე უფრო ცქვიტი იყო. როდესაც სხვა მისი ამხანაგები წყნარად იყვნენ თავ-თავის ადგილს, ეს პატარა კუ სულ აქეთ-იქით დადროდა, სულ მოძრაობაში იყო. ჩემს ცოლს იგი ძალიან შეუყვარდა; ხშირად აიყვანდა ხოლმე ხელში, ეალერსებოდა, ელაპარაკებოდა. ისიც, ეტყობოდა, კმაყოფილი იყო ალერსით, სიამოვნებასა გრძნობდა და თავსა და ფეხებს აღარ მალავდა, ხელის მოკიდების დროს. სახელი დაარქვა მას ჩემმა ცოლმა „ავგუსტი“. იმდენად მოშინაურდა და ისე დაიხსომა თავისი სახელი, რომ როდესაც ჩემი ცოლი მივიდოდა წყლიან ჭურჭელთან, რომელშიაც ცვინახავდით რკუებს, და დაუძახებდა ავგუსტ, ავგუსტო“, პატარა კუ მაშინვე საოცარის სისწრაფით ამოცურდებოდა წყლის ზედა პირზე და ისე აჩქარებით მოებლაუჭებოდა ქვის ჭურჭლის კიდეზე, რომ მოუსხლტებოდა ფეხები და ჩავარდებოდა სიდრმეში; მაგრამ მერმე თვალის დახამხამების უმალ ისევ ამოცურდებოდა და კიდევ მიებლაუჭებოდა ქვას. ცხადად სჩანდა, რომ იხვეწებოდა, წყლიდან ამომიყვანეთო. დიდხანს არ დასცხრებოდა, თუ არ ამოიყვანდა ჩემი ცოლი და ხელში არ დაიქერდა.

ზღვის რკუები განირჩევიან სხვა თავის მონათესავეებისგან ფეხებით, რომელნიც მათ საცურავად აქვსთ მოწყობილი: თითები ერთი მეორესთან კანით არიან შეერთებულნი (ბანდიანი თათები აქვსთ), და ეს ძალიან ჰშველის ცურვაში. წინა ფეხები შესამჩნევად უფრო გრძელები აქვსთ უკანა ფეხებზე. ხმელეთზე საარული მეტათ ეძნელებათ ზღვის რკუებს, სამაგიეროდ ცურვა იციან მეტათ სწრაფი და დაუღალავი. ზღვაში დიდს მანძილზე სცხოვრებენ ნაპირიდან და ხმელეთზე გამოდიან მხოლოდ იმისთვის, რომ კვერცხები დასდვან და შთამომავლობა გაამრავლონ; დანარჩენ დროს კი სულ ზღვაში არიან, — ხან ზღვის ზედაპირზე სცურავენ, ხან სიდრმეში.



როდესაც მოაწევს კვერცხის დადების დრო, მაშინ დედა რკუები დასტოვებენ ხოლმე ზღვის შორეულ ადგილებს და მოუახლოვდებიან ნაპირებს. ამ დროს ხშირად დაინახავთ, რომ რკუებს ამოუყვიათ წყლიდან თავები და იტკირებიან ხმელეთისაკენ, ათვალთვალებენ, მტერი ხომ არსად სჩანსო.

ზღვისა და დიდი მდინარეების რკუებმა ბევრმა იცის ხოლმე ერთად გაოსვლა ხმელეთზე კვერცხის დასადებათ. იგინი დიდს სივრცეს იჭერენ ნაპირებზე თავის ორმოებით და ბლომად სდებენ ამ ორმოებში თავის კვერცხებს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა კარგად იციან ეს დრო, მოდიან ამ ნაპირებზე და კაი ხნით დაბინავდებიან ხოლმე იქ რკუების სანადიროთ და კვერცხების მოსაკრავებლად. თუ თითონ რკუების დაქერა უნდათ, მახლობლად სადმე ჩაცხადებიან და უდარაჯებენ. როდესაც ბლომად გამოვა კუ ნაპირზე და რამდენადმე მოშორდება წყლის კიდურს, მონადირეები უეცრად დაესხმიან თავზე და გულაღმა გადააბრუნებენ რკუებს. რადგან ხმელეთზე სიარული არ ემარჯვებათ, რასაკვირველია, გაქცევით ვერ გაიქცევიან, რომ წყალში ჩაასწონ მონადირეებს, და ამნაირად ვარდებიან მტრის ხელში. გადაბრუნებულ კუს აღარ შეუძლია გადმობრუნება და დღახანსა ჰწვავლობს პირაღმა მდებარე ამასობაში აკრეფენ რკუებს, წყლიან ქურქლებში ჩაჰმენ და ჰგზავნიან, სადაც უნდათ. ხანდახან იმდენ სიხარბეს იჩენენ მონადირეები და იმისთანა შეუბრალებლობას, რომ ბევრად უფრო მეტს გადააბრუნებენ ხოლმე, ვიდრე საჭიროა მათთვის საწყალი რკუები დარჩებიან ამ მდგომარეობაში უბატრონოდ: ჰცდილობენ თავისთავად გადმობრუნდნენ, აფართხლებენ ფეხებს, ცაესა და კუდს ურტყამენ მიწას, რაც ძალი და ღონე აქვსთ, და იტანჯებიან ასე, სანამ არ დაღვევენ სულს ან რომელიმე მტაცებელი ცოცველი არ მოვა და არ გამოსწიწკნის ხობოკურადან მათს ხორცს ერთმა მოგზაურმა მრავალი დაცარიელებული ხობოკურა ნახა რკუებისა ერთ ადგილას ამერიკაში და გაუკვირდა; უთხრეს, რომ ეს ამერიკულ ვეფხების (იაგოარების) შექმულიაო. იაგოარი ისე ემტკრება კუს, რომ წყალშიაც კი ჩაჰყვება დასაქერად, თუ წყალი ძალიან ღრმა არ არის. როდესაც გადაბრუნებულ კუს წააწყდება იაგოარი, თითონ დაიჭერს, აიყვანს მას და წინ დაიყენებს პირდაპირ; შემდგომ მოსდგება და თანდათან ჰგლეჯს ხობოკურადან ხორცს თავის გრძელი და მწვეტი კლანჭებით, — ჰგლეჯს, სანამ სულ არ გამოაქლის,

რაც სირბილე აქვს. აი აპისთანა წვალეობით უნდა დალიოს სული საწყალმა კუმ.

ქვეწარმავალთა შორის კუ ყველაზე უფრო სასარგებლოა ადამიანისათვის, — სასარგებლოა მისი არა მარტო ხოცერა-ჯავშანი, რომლისაგანაც ჰკეთდება სხვა და სხვა საჭირო რამ წვრილმანი ნივთები, არამედ მისი ხორციცა და კვერცხებიც. ხორცსა და კვერცხს საჭმელად ჰხმარობენ ინდიელები (ამერიკაში) ზანგები და ევროპიელებიც. ევროპის ზღვის ნაპირა ქალაქებში რკუები დიდ კასრებში ჰყავთ დამწყვედელი წყალში. როდესაც საჭიროა, ამოიყვანებენ კასრიდან და დაჰკლავენ დაკლული კუ ერთს ორს დღეს თავდაღმა უნდა იყოს დაკიდებული, რომ დაიცალოს სისხლისაგან. ამას შემდგომ მისი ხორცისაგან აკეთებენ საუცხოო წვენს.

გარდა იმისა, რომ საჭმელად ჰხმარობენ ინდიელები კუს კვერცხებს, ზეთსაც ამზადებენ კვერცხის გულისაგან. როდესაც მდინარე ორენოკოს ნაპირებზე გამოვლენ ხოლმე რკუები და დაავსებენ ორმოებს თავის კვერცხებით, ინდოელები დიდი და პატარები მიდიან იქ და ორი სამი კვირით დაბინავდებიან ზეთის გამოსახდელად. პატარ-პატარა კალათებით ხელში მოედებიან ნაპირებს, ჩიჩქნიან ქვიშას, კუს ორმოებს ეძებენ და ავსებენ კალათებს კვერცხებით! შემდგომ კვერცხები მიაქვთ, ჰყრიან წყლით სავსე ღრმა გობებში და სჰყლეტენ მათ ნიჩბებით; კარგად რო გათქვეფავენ წყალში, წაიღებენ გობებს და დადამენ მზეზე. მზეზე უნდა იდგას გათქვეფილი კვერცი, სანამ კვერცის გული (ამაშია ზეთი, რომელიც თავზე მოადგება წყალს, არ შესქელდება; როდესაც იგი შესქელდება, ეს იქნება ზეთი მერმე მას მოხდიან და გადიღებენ სხვა ჰურჭელში. რომელშიაც ადუღებენ ერთ ხანს, რომ კარგი ზეთი დადგეს.

კარგად მომზადებული კუს ზეთი გამჭვირვალეა, სუნი არა აქვს ცუდი და ფერად მოყვითანოა. ეს ზეთი საუკეთესო ზეთუნის ზეთს არ ჩამოუვარდება და იხმარება არა მარტო განათებისათვის, არამედ საჭმელების საკვამავადაც. მდინარეებისა და ზღვის ქვიშოვან ნაპირებზე, სადაც კუ კვერცხსა სდებს, სულ მცირე ადგილი, მაგალითად 4 ადლი სიგრძით და თერთმეტი ადლი სიგანით, იძლევა 100 ქილა ზეთს, ოცდა ხუთ თუმნად ღირებულს.

რკუების მტრები არიან, ადამიანებისა და იაგოარებს გარდა, ნიანგები, იშხივარები და ფასკუნჯები.

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის.



# სახალხო გაზეთი

გაზეთის მფლობელი სპეციალური და სტატურული  
ზომვალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარ-  
სულს წელს გამოდიოდა.

გაზეთს დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება

## სურათებანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებინათ: წლით როგორც ქალაქში ისე  
ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით — 4 მან.  
80 კაპ., ერთი თვით — 80 მან.

ცალკე ნომერი ექვსჯან ერთა შაური. დამატებინი ნომერი (კვი-  
რისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წყნარ-  
ების საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. აკალიშვილთან.

რედაქცია ადრესი: Тифлисъ, Редакція „Сахалхо газети“.

### ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ.

на литическую, общественную и литературную еже-  
дневную газету

# „Закавказье“

(Годъ VI-й .

### ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:	Съ пересылкой въ другіе города:
На годъ . . . . . 6 р. — к.	На годъ . . . . . 8 р. — к.
На полгода . . . . . 3 р. 50 к.	На полгода . . . . . 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Заграницу — вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній — 1 руб., съ ино-  
городняго на городской — 50 коп.

Объявленія вѣдъ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ цен-  
тральной конторѣ торговаго дѣл. Л. и Э. Метцъ и К. въ Москвѣ, Мяс-  
ницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ въ С.-Петербургѣ, Большая Мор-  
ская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ тек-  
стомъ и 12 к. послѣ текста.

Редакція и контора помещается въ Тифлисъ, на Дворцовой ул.,  
въ домъ грузинскаго дворянства.

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ М. В. Мачабели. Издатель Д. П. Мадчавариани.

# ჯ ე ჯ ი ლ ი



საუბაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.  
**ოცლა მეორე წელიწადი.**

მიიღება ხელის მწერა 1911 წლის

გამოვბ თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილება, პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი «ჯეჯილი»** თბილისში ედირება  
**4 მან**, ქალაქ გარეთ (გაკსავნით) **5 მან.**

ნახევარი წლით **3 მან.**, ცალკე ნომერი **40 კპ.**

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიძარტონ:

თ ე ლ ა ვ შ ი — კნ. ნ. ხოლაყაშვილს,

ს ი ღ ნ ა დ შ ი — კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭ ი ა თ უ რ ა შ ი — ნიკო წუწუნავას.

ბ ა თ უ მ შ ი — მიხეაღ კვლანდაძეს.

ფოტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго  
журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1911 годъ

**НА ГАЗЕТУ**

**„Закавказская Рѣчь“**

**Подписная цѣна**

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисъ.	Въ провинціи.
На годъ . . . . .	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
„ полгода . . . . .	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца . . . . .	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяць . . . . .	— 75 коп.	— 75 коп.

**АДРЕСЪ:** Тифлисъ, реоанція газ. „Закавказская Рѣчь“, Эриванская площадь, домъ Харазовой.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Занавказская Рѣчь“.

Редакторъ Р. Д. Бебіевъ.

Издатели: { П. А. Готуа.  
                  { Кн. Г. I. Амираджиби.